# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 29 სექტემბერი 2008 №224 (3448) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## დაგვეხვედა

### გზად ვამტვრევთ ყველას და ყველაფერს

საქართველოს 19-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა შაბათს ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონში ასასვლელი ფინალური მატჩი წააგო რუმინეთის ნაკრებთან და შესაბამისად, ელიტურ ჯგუფში მოხვედრა და მასთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის სინზე გასვლის საშუალება დაკარგა.

არადა, ამ მიზნამდე პატარა ბორჯღალოსნებს სამი ქულა დააკლდათ.

სამი ქულა რაგბიში ბევრი ისედაც არ არის და მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, როგორ მივიდნენ ამ ფინალამდე ქართველები და რუმინელები. ჩვენმა ნაკრებმა 37:0 მოუგო რუსეთს, ხოლო რუმინეთი პორტუგალიასთან ფრედ დასრულებული მატჩის მერე ოდენ მეტი ლელოს წყალობით გავიდა ფინალში.

ოღონდ, იმასაც ვერ ვიტყვით, „მუხის ფოთლებს" ფინალში მოგება არ ერგებოდათო...

ისე, როგორ დაგვებედა, სარაგბო ფინალების წაგება: გაზაფხულზე იყო, ჩვენმა 20-წლამდელებმა ჩილეში გამართულ მსოფლიოს თასის B დივიზიონის ფინალური მატჩი რომ წააგეს ურუგვაისთან...

## რაღაც წესრიგში ვერ არის

### საქართველოს ჩემპიონატი პროგნოზებს შემოსწყრა

რაღაც წესიერად ვერ არის ქართულ ფეხბურთში...

მოგვიტევეთ ეს ბანალური ფრაზა, რომელსაც წლიდან წლამდე ვიმეორებთ, თუმც ახლა ამ ფრაზას სხვა შინაარსი აქვს.

სეზონის დაწყებამდე, პროგნოზებს რომ ვაკეთებდით, ვფიქრობდით, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი „ამერი" იქნებოდა. გახმაურებულ მიზეზთა გამო „ამერი" საერთოდ აღარ თამაშობს უმაღლეს ლიგაში. ჩემპიონობის მარადი ფავორიტი „დინამო" სეზონის სამ საწყის ტურში ორ თამაშს აგებს. თანაც მარცხდება არა „ზესტაფონთან" და „ვიტ ჯორჯიასთან", არამედ, უმაღლესი ლიგის დებიუტანტთან და წინა სეზონში გავარდნას ძლივს გადარჩენილ გუნდთან.

შინ დამარცხდა კიდევ ერთი ფავორიტი „ზესტაფონი". არადა, ბოლო სამ წელიწადში ამ გუნდს მხოლოდ ორი საშინაო მატჩი ჰქონდა წაგებული.

თუ ვინმემ იაქტიურა ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე, ეს „ოლიმპი" და „სიონი" იყვნენ. ჰოდა, ისინიც უმალ შეირაცხნენ ფავორიტებად.

ჩახედეთ გათამაშების ცხრილს — ქვემოქართლელებმა აშკარად არაფავორიტულად დაიწყეს სეზონი.

ერთი, თავდაპირველ ფავორიტთაგან „ვიტ ჯორჯია" გვიმართლებს პროგნოზს...



„დინამომ" ლოკომოტიველი ნიკა გუშარაშვილის (№4) გოლით წააგო

გურამ [illegible] ფოტო

## გებრსელასიემ მარათონი ერთხელაც დაამოკლა

ზუსტად ერთი საუკუნის წინ, 1908 წელს, ლონდონში ამერიკელმა ჯონ ჰეისონმა კლასიკური მარათონული დისტანცია (42,195კმ) პირველმა გაირბინა 3 საათზე ნაკლებ დროში და ახალი მსოფლიოს რეკორდი, 2 საათი, 55 წუთი და 19 წამი აჩვენა.

გუშინ კი ბერლინში, დიადმა ეთიოპიელმა ჰაილე გებრსელასიელმა შარშან ბერლინშივე დამყარებულ საკუთარ მიღწევას კიდევ 27 წამი ჩამოაკლო და ისტორიაში პირველი კაცი გახდა, ვინაც მარათონული გარბენი 2 საათსა და 4 წუთზე ნაკლებ დროში გალია.

ჰაილეს ახალი რეკორდი 2 საათს, 3 წუთსა და 59 წამს უდრის და ცნობისთვის გეტყვით, რომ ჰეისონის ეპოქის შემდეგ ეს 35-ე მარათონული რეკორდია.



# ქართველები უცხოეთში
# გოლები და დებიუტები

**სადაც** „ბაიერნი“ მიჯრით აგებს თამაშებს, იქ „შალკეს“ მარცხი არავის უკვირს. ლევან კობიაშვილ-ლევან ყენიას გუნდმა ბუნდესლიგაში პირველი მატჩი დათმო — „კიოლნთან“ 0:1 სტუმრად. „კობის“ არ უთამაშია, მისი ადგილი კრისტიან პანდერს ეკავა, რომელიც ჩვენიანისა არ იყოს, ხშირად ტრავმიანობს.

რაც შეეხება ყენიას, მან „შალკეს“ მეორე გუნდში ითამაშა და „ლევერკუზენი II“-თან 2:0 მოგებულ შეხვედრაში ერთი საგოლე პასი გააკეთა.

„ხუმარების“ ვებგვერდის ცნობით, 17 წლის ქართველი საუკეთესო იყო.

„კარლსრუემ“ შინ 2:1 აჯობა „ვოლფსბურგს“. ალექსანდრე იაშვილმა სრულად ითამაშა და მეორე გოლის ავტორ მიხაელ ფრაისს ასისტენტობა გაუწია.

იაშვილის გუნდმა მიჯრით სამი მარცხის შემდეგ იმარჯვა.

მეორე ბუნდესლიგაში დავით თარგამაძის ოფიციალური ფრაიბურგული დებიუტი შედგა. 19 წლის მარჯვენა გარემარბი „ალემანიასთან“ 76-ე წუთზე შევიდა მინდორზე, თუმც ნათლობა წაგებით აღინიშნა — ბოლოს „ალემანიამ“ გადამწყვეტი გოლი შეაგდო და 1:0 იმარჯვა.

იმედია, თარგამაძეს მომდევნო მატჩებში უფრო დიდი ხნით ენდობა „ფრაის“ თავკაცი რობინ დუტი.

„მიუნხენ 1860“ შინ 1:0 უგებდა „ინგოლშტადტს“ და ბოლო წუთზე გაუშვა. მათე ღვინიანიძემ შეუცვლელად ითამაშა.

ოთარ ხიზანეიშვილის ადგილი კი არა და არ გამოინახა „აუგსბურგის“ ძირითადში, არადა, ეს გუნდი ზედიზედ აგებს — ამჯერად 0:2 „მაინცთან“. ოთარმა სათადარიგოებიდან უყურა მატჩს.

„ბლექბერნის“ მწვრთნელმა პოლ ინსმა ინგლისის თასზე კი ათამაშა ზურაბ ხიზანიშვილი, მაგრამ პრემიერლიგაში არ აღირსა: „ვარდები“ გონს მოვიდნენ, ამჯერად 2:1 იმარჯვეს ნიუკასლში.

ლევან მჭედლიძეს წინა ტურში სერია A-ში დებიუტი ჰქონდა, მაგრამ გუშინ 18-კაციან განაცხადშიც არ იყო.

მჭედლიძის „პალერმომ“ 1:0 სძლია „რეჯინას“.

ჩეხეთის გამბრინუსლიგაში „ბოლესლავმა“ „ჟიჟკოვს“ აჯობა სტუმრად (2:1), თუმცა გიორგი განუგრავამ. კვლავ სკამზე გაატარა 90 წუთი.

„ბოლესლავი“ არ ხუმრობს, მესამე ადგილზეა და ოდნავ ჩამორჩება ლიდერებს.

დიმიტრი ტატანაშვილი კი ბოლო 8 წუთით გამოჩნდა „პლზენ“ — „ბანიკის“ (1:3) მატჩში და ამ მცირე დროში ვერც ვერაფრის გაკეთება მოასწრო.

სლოვაკეთში ირაკლი ლილუაშვილის „ნიტრა“ შინ 1:2 დამარცხდა „ბანსკა ბისტრიცასთან“. ჩვენიანი მე-60 წუთზე ჩაერთო თამაშში, როცა მისიანები ჯერ კიდევ იგებდნენ.

დანიაში დავით დევდარიანის გარეშე თასის მეთექვსმეტედფინალი მოიგო „ორჰუსმა“: 2:1 „ავარტასთან“.


მალხაზ ასათიანი (№32) ნახევარდაცვაში გაისარჯა

გიორგი ფოფხაძის „ვიბორგმა“ კი 1:2 დათმო დანიის სუპერლიგელ „ჰორსენსთან“. ფოფხაძემ შეუცვლელად ითამაშა და საგოლე პასიც გაახერხა.

გოლი და ორი საგოლე პასი — ასეთია ჰიკ-ის მიხეილ ბარაბაძის მონაგარი „სოლეროდთან“ 4:0 მოგებულ მატჩში. ბარაბაძე ზამთრამდეა ჰიკ-ში და სავარაუდოდ, დანიის რომელიმე სუპერლიგელთან გააფორმებს კონტრაქტს.

აზერბაიჯანის ჩემპიონატში ქართველები მრავალმხრივ გამოირჩნენ და ჯერ გიორგი დემეტრაძის გოლით დავიწყოთ, რომელიც ჩვენიანისთვის პირველი იყო „ბაკუში“ — „დემეს“ გუნდმა „ბაკილი“ 7:0 მიანგრია და ორი გოლი ამირან მუჯირისაც იყო.

კახა ჩხეტიან-გრიგოლ დოლიძე-დავით ბოლქვაძე-მიხეილ მახვილაძის „სიმურგმა“ სტუმრად 2:0 აჯობა ალეკო გოგობერიშვილის „ყარაბახს“. დოლიძე ყველაზე აქტიური იყო თავისიანებში, ბოლქვაძე კი წითელი ბარათით „გამოირჩა“.

ბაქოს „ნეფთჩიმ“ შინ ნბს-ს ვერ მოუგო (0:0). მასპინძელთა გიორგი ადამიამ ორჯერ მოარტყა ბურთი ძელს.

კახა ცხადაძის გაწვრთნილმა „სტანდარდმა“ ბაქოში 0:0 გაუბედა რომან ახალკაც-მიხეილ ხუციშვილის „ოლიმპიკს“.

რუსეთის პრემიერლიგაში ნალჩიკის „სპარტაკი“ შინ 2:2 გაეყარა ლევან გვაზავას „ლუჩ-ენერგიას“. გვაზავამ, ისევე, როგორც ნალჩიკელთა ალეკო ამისულაშვილმა, ბოლომდე ითამაშა, ყაბარდოელთა კიდევ ერთი ქართველი გოგიტა გოგუა კი ბოლო წუთზე შეცვალეს.

გოგუამ თავისიანთა მეორე გოლში მიიღო მონაწილეობა — მისი ტყვიასავით გასროლილი მეკარემ მოიგერია და თანაგუნდელმა დაამატა. რაც შეეხება დავით სირაძეს, მან ყვითელი ბარათების გამო გამოტოვა მატჩი.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ „ზენიტთან“ 0:3 დათმო და დავით მუჯირმა თავისიანთა საცოდაობას სათადარიგოთა სკამიდან უყურა.

„რუბინმა“ ყაზანში, „მოსკვასთან“ 0:1 დათმო, თუმც კვლავაც სოლიდური ფორით ლიდერობს პრემიერლიგას. რუბინელთა ქართველებმა, დავით კვირკველიამ და ლაშა სალუქვაძემ შეუცვლელად ითამაშეს. ნუკრი რევიშვილი კი კვლავაც განაცხადს მიღმა იყო.

მახაჩყალის „ანჟიმ“ სტუმრად „სიბირთან“ 0:1 წააგო და ძალიან გაირთულა პრემიერლიგაში გადასვლის პერსპექტივა. მგონი, თვითონ ანჟელთა თავკაც ომარ თეთრაძესაც არ სჯერა, რომ გაისად შეიძლება ზედა ეშელონში ათამაშოს გუნდი — ასე ჩანს მისი ინტერვიუებიდან.

უკრაინაში მალხაზ ასათიანი ენახეთ ახალ პოზიციაზე: კიევის „დინამოს“ თავკაცმა იური სიომინმა ჩვენიანი ნახევარდაცვაში დააყენა და შეუცვლელადაც ათამაშა.

უკრაინულმა „სპორტ-ექსპრესმა“ „ასათაზე“ დაწერა, მშვენივრად გამოიყურებოდაო.

კიეველებმა 3:0 სძლიეს „კრივბასს“.

კახა მჟავანაძის „ჩერნომორეცმა“ „ლვოვს“ გასვლაზე 2:0 მოუგო. ქართველი მარჯვენა მცველი კვლავაც შეუცვლელი გახლდათ.

ვასილ გიგიაძე-ლადო ბურდულის „ტავრიამ“ „ხარკოვთან“ 1:1 ითამაშა. ბურდულის ტავრიული დებიუტი ისევ გადაიდო, გიგიაძე კი ძირითადში იყო და მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვალეს.

„კარპატიმ“ სანდრო გურული „ზარიასთან“ გასვლით მატჩში 90 წუთი ათამაშა. მართალია, გიორგი ციმაკურიძის (ბოლო 13 წუთი იყო მინდორზე) „ზარიამ“ 1:0 იმარჯვა, მაგრამ გურული ყველაზე აქტიური იყო მინდორზე — ასე წერია ონლაინ-რეპორტაჟში.

ლატვიაში ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსმა“ ბოლო წუთზე გაუტანა „მეტალურგსს“ და 2:1 იმარჯვა, რითაც ჩემპიონობას უფრო მიუახლოვდა.

მენთეშაშვილმა შეუცვლელად ითამაშა.

„სკონტომ“ თანაქალაქელ „რიგას“ ასევე 2:1 აჯობა. ვლადიმერ დვალიშვილი ძირითადში იყო და მეორე ნახევარში დავით გამეზარდაშვილს მიუჯდა სათადარიგოებში. დავითმა 90 წუთი სკამიდან უყურა თამაშს.

**ილია ნანოგაშვილი**

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. 1 წრე. 3 ტური

გორი. 27 სექტემბერი. 16 საათი. ქართლი. 50 მაყურებელი

### სპარტაკი 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 კვალინიძე (88)

**სპარტაკი:** გ. იაშვილი, ქორიძე, ი. კობახიძე, ჯანგიძე, თექთუმანიძე (ოსეფაშვილი 70), ნ. გოგოხია, თარხნიშვილი, გ. ხიდეშელი, შალამბერიძე (სირბილაძე 46), ლ. დათუნაშვილი (ნ. მაისურაძე 70), მ. ღონღაძე
*სათადარიგონი:* ქვილითაია, მამუკაშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, კუპრეიშვილი
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ბეჭვაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი (კვალინიძე 68), გ. მელქაძე, ლიპარტია (ყველაშვილი 89), ვ. კვარაცხელია (გ. ბერიაშვილი 60)
*სათადარიგონი:* ა. მიქაბერიძე, ხურცილავა, მაისაშვილი, ლუჭაშვილი
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**გაფრთხილება:** შალამბერიძე (24), თარხნიშვილი (45)

**მსაჯები:** ა კრიჭაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ო. მოლოდინაშვილი, დ. ხარიტონაშვილი

# ვიტ ჯორჯიამ სპარტაკი დააჯარიმა

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**გორში** დილიდან წვიმდა, თუმცა თამაშის წინ გადაიღო და გუნდებს საშუალება მიეცათ, ნორმალურ პირობებში ეთამაშათ.

პირველი ნახევარი საკმაოდ უინტერესოდ ჩატარდა — თამაში ძირითადად საჯარიმოებამდე მიდიოდა.

საწყის 10 წუთში მხოლოდ ვიტ-ჯორჯიელმა ირაკლი კლიმიაშვილმა სცადა თამაშის გამწვავება და ორჯერ დაარტყა მასპინძელთა კარის მიმართულებით.

პირველი ნაღდად სახიფათო დარტყმა კი მხოლოდ 28-ე წუთზე იმავ კლიმიაშვილმა შეასრულა, თუმც უზუსტოდ.

„ვიტ ჯორჯიამ“ უპირატესობა ნელ-ნელა მოიპოვა, მაგრამ ეს გოლის გასატანად საკმარისი არ გამოდგა და პირველი ტაიმიც მშრალად ჩამთავრდა.

მეორე ნახევარი გაცილებით საინტერესო გამოდგა და „ვიტ ჯორჯიას“ მწვავე შეტევებით დაიწყო.

53-ე წუთზე სტუმრებს შეეძლოთ ანგარიშის გახსნა — გრიგოლ ბედიაშვილმა ძლიერი დარტყმით შეიყვანა ბურთი თამაშში, რომელსაც „სპარტაკის“ საჯარიმოსთან ჯაბა ლიპარტია დაეუფლა; მას ეუხეშნენ, ჯარიმა სწრაფად გათამაშდა და კარგ პოზიციაში მყოფმა გიორგი მელქაძემ დარტყმის ნაცვლად რატომლაც უკან, მოწინააღმდეგეს ჩააბარა ბურთი.

ორიოდ წუთში ვახტანგ კვარაცხელია იყო ვალდებული, გოლი შეეგდო — კლიმიაშვილის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს კარგად შეურჩია ადგილი, მაგრამ თავური კარს გადააცილა.

57-ე წუთზე მელქაძის კუთხურს დაუხვდა გიორგი დათუნაიშვილი და ბურთი ზუსტადაც გაგზავნა „სპარტაკის“ კარში, მაგრამ ხაზზე მდგომმა მცველმა იმარჯვა.

დაახლოებით ოც წუთში მასპინძლებმა შექმნეს სახიფათო მომენტი — მამუკა ღონღაძე ფლანგიდან შეიჭრა „ვიტ ჯორჯიას“ საჯარიმოში, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა.

თბილისელები განუწყვეტლივ უტევდნენ: 78-ე და 79-ე წუთებზე კიდევ ორჯერ მიეცათ გოლის გატანის შანსი. ჯერ მელქაძემ ითამაშა კარგად, ცრუ მოძრაობით მოატყუა მცველი და დაარტყა, მაგრამ...

შემდეგ კი დათუნაიშვილმა ოდნავ ააცილა კარს.

მატჩი თითქოს ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ 88-ე წუთზე მასპინძელთა კარისკენ დაინიშნა ჯარიმა და ეს გამოდგა გადამწყვეტი — შეცვლაზე შესულმა გიორგი კვალინიძემ ზედიზედ მეორე თამაშში იხეირა ჯარიმიდან — ძლიერად დარტყმული ბურთი ცოცხალ კედელში გაძვრა, ერთ-ერთ მცველს მოხვდა და კარში შევარდა — 0:1.

# საქართველომ 0:10 იკმარა

**საქართველოს** 19-წლამდელ გოგონათა ნაკრებმა მაკედონიაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეორე მატჩი გამართა და რა გასაკვირია, რომ ისევ ორნიშნა სხვაობით წააგო.

ქართველი გოგონები პირველ შეხვედრასთან შედარებით მოკრძალებული ანგარიშით დამარცხდნენ — ფრანგებს „ოდენ“ 10 გოლი გაატანინეს.

შეგახსენებთ, რომ ბელგიასთან ჩვენებმა 0:18 წააგეს.

ორ თამაშში 28 ბურთის გაშვება კი იოლი საქმე სულაც არ გეგონოთ.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში ბელგიამ 7:1 სძლია მასპინძელ მაკედონიას.

შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩს ქართველები 30 სექტემბერს მაკედონიასთან ჩაატარებენ.

**ნუკრი ლოლაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 2 | 2 | 0 | 0 | 25:1 | 6 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 14:0 | 6 |
| მაკედონია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:11 | 0 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:28 | 0 |

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · I წრე. 3 ტური

# ცობელმა საუკეთესო თამაში წააგო


მილოშ კრშკო და რატი ალექსიძე

თბილისი. 27 სექტემბერი. 16 საათი. მ. მესხი. 2 000 მაყურებელი

## ლოკომოტივი 1:0 დინამო

1:0 გუშარაშვილი (63)

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი: ლომაია, კახელიშვილი, გუშარაშვილი, ფარულავა, სარალიძე, ჩირიკაშვილი, ცქიტიშვილი (ს. გილაური 87), სამხარაძე (ბარბაქაძე 75), დარასელია (კ. მახარაძე 79), ზ. ჩხეტიანი, ალექსიძე სათადარიგონი: ბათიაშვილი; ლ. გრიგალაშვილი, ბებუა, კაიშაური მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე | დინამო: ოვონო, შ. კაშია, გ. კაშია, კრშკო, ელიავა, ხმალაძე, ოდიკაძე, დილმელაშვილი (ნერგაძე 70), გველესიანი (სპასოევიჩი 70), ვაწაძე, გ. მერებაშვილი სათადარიგონი: ლორია; ინწკირველი, თომაშვილი, ქანთარია, ნ. ჯიშკარიანი მწვრთნელი: რაინერ ცობელი |

გაფრთხილება: კრშკო (38), შ. კაშია (88)

მსაჯები: ო. ხეცაძე, ბ. ჭიჭინაძე, შ. ქუხილავა, ხ. გაგნიძე

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

ილია ნანობაშვილი

„დინამოს“ ერთ-ერთი გულშემატკივარი ნამატჩევს აღშფოთებული იყო, ყველა მატჩი ფინალივით გვაქვს, ყველა გუნდი თავს იკლავს ჩვენთანო.

აი, ესაა უბედურება. უკვირთ.

აბა, როგორ გინდა, დალოცვილო, აქ სეირნობით მოიგო, გახვიდე ევროპაში და შერცხვე?! ძალიან ძნელია ასეთი ხალხის ფსიქოლოგიის გამოსწორება, მეტიც, ვერც გამოასწორებ...

დარწმუნებული ვარ, ის გულშემატკივრები, რომლებიც ხშირად ესწრებიან საქართველოს ჩემპიონატის თამაშებს და იციან, რა დღეშიც ვართ, გუშინწინ კმაყოფილები დატოვებდნენ „მიხეილ მესხის“ სტადიონს — იმიტომ, რომ ჩვენი ეროვნულის კვალობაზე მართლაც კარგი თამაში გამოვიდა, ამაზე ორი აზრი არც შეიძლება იყოს.

გიორგი კიკნაძის „ლოკომოტივს“ დისკვალიფიცირებული დაჩი ფოფხაძე აკლდა და მწვრთნელმა სიურპრიზი შემოგვთავაზა, როცა გიორგი კახელიშვილი მის პოზიციაზე, მარჯვენა მცველად გაამწესა. არადა, „კახელო“ თავის დროზე თავდამსხმელი გახლდათ, ეს ბოლო ორი წელია, ცოტა უკან, შემტევ ნახევარმცველად ათამაშებენ...

„დინამოს“ სულაც არ ჰქონია წასაგები, მეტოქეზე ბევრი საგოლე მომენტიც შექმნა, მაგრამ რაინერ ცობელის შეგირდთა შეტევებს სიმწყობრე აკლდა და ცოტა იოლად გასაშიფრიც იყო — გიორგი მერებაშვილის დრიბლინგები და ლამის ყველა პასი მათე ვაწაძეს. რამდენჯერმე ეს მართლაც გამოუვიდათ დინამოელებს, ვაწაძესაც ჰქონდა შანსები და მერებაშვილსაც, მაგრამ მაინც, ისინი ჩვეულად აქტიურები ვერ იყვნენ.

პირველი ჩხვლეტა სტუმრებისა იყო, როცა მერებაშვილმა დავით ოდიკაძის პასის შემდეგ კარში რატომღაც არ დაარტყა, ბურთი წინ გაიგდო და ვაკელთა მეკარე გიორგი ლომაიაც დროულად გამოვიდა, ფეხებში ჩაუხტა შემტევს.

ამას მოჰყვა ირაკლი ჩირიკაშვილისა და შოთა კაშიას შორიდან გასროლილები — ლომაიამაც და ოვონომაც თვალი გააყოლეს ბურთს, თუმც მათი კარი რიგრიგობით გადარჩა, ოდნავ არაზუსტი იყო დარტყმები.

პირველ ტაიმში მეტი ხიფათი არც შექმნილა, ორივე გუნდი ბევრს იბრძოდა მინდვრის ცენტრში, შეცდომების დაშვებას მაქსიმალურად ერიდებოდნენ.

კარგად თამაშობდა ლევან ცქიტიშვილი, ერთი-ორჯერ ქუსლური პასებიც გაურია, წინ კი ვიტალი დარასელიამ და რატი ალექსიძემ რამდენი ბურთიც მიიღეს, იმდენჯერ გაამწვავეს შეტევა. აშკარა იყო, მათ გამოცდილებასა და კლასს ვერ ერეოდნენ სტუმართა ახალგაზრდა მცველები.

მეორე ნახევრის საწყისი 15 წუთი, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ „დინამომ“ სწორედ ამ პერიოდში წააგო თამაში. ჯერ იყო, მერებაშვილმა პირველი ტაიმის მსგავსად, ბევრი აწვალა ბურთი, დარტყმის ნაცვლად კაცის მოტყუება დაიწყო და წაართვეს, მერე გიორგიმ კარგი პასით ვაწაძე გაიყვანა დასარტყმელად და მათემ კარს ზემოდან გადააცილა.

კიდევ მერებაშვილ-ვაწაძის კომბინაცია — მათე ლომაიას პირისპირ შეეყარა, კარიდან გამოსულ მეკარეს გასცდა (ოღონდ წაბორძიკდა და, ვინ იცის, რომ წაქცეულიყო, მსაჯს პენალტიც დაენიშნა) და დაარტყა, მაგრამ ლომაიას კარი „ლოკომოტივის“ ოთხ ფეხბურთელს დაეფარა. მათ ბურთი გამოიტანეს, რომელიც ლევან ხმალაძეს მიუვიდა, მანაც კარს დაუმიზნა, მაგრამ ვაკელთა მცველებს უკვე ბარიკადები აღემართათ...

სამი მომენტის განიავება ძვირად დაუჯდათ ცობელის ბიჭებს. „ლოკომოტივმა“ იქით შეუტია.

ჩირიკაშვილის მაკრატელა ოდნავ ასცდა, მერე დარასელიამ მშვენიერი გარღვევის შემდეგ კუთხური მოინადირა და აი, დადგა გოლის დროც: ცქიტიშვილმა ირაკლი სამხარაძეს დაუგორა, მან კი ფლანგიდან საჯარიმოში ეშმაკურად ჩააწოდა და დინამოელთა მცველთა ზურგიდან შეპარულმა ნიკა გუშარაშვილმა ოვონოს ფეხით გაუტანა — 1:0.


ვიტალი დარასელიამ დინამოელებს საკმაო პრობლემა შეუქმნა

მაშინვე არა, მაგრამ რაც უფრო დრო გადიოდა, „ლოკომოტივი“ უფრო იკეტებოდა თავის ნახევარზე, ეგაა, კონტრშეტევებს არ თაკილობდა — მართალია, ოვონოს ჯაფა აღარ დასდგომია, მაგრამ დინამოელი მცველები ბევრს წვალობდნენ ვაკელთა შემტევებისთვის ბურთის ასართმევად.

კიკნაძემ ჯერ დარასელია, მერე ცქიტიშვილი გაიყვანა მინდვრიდან, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბოლო წუთებს დინამოელთა დიდი უპირატესობით უნდა ჩაევლო.

ყოჩაღ ლომაიას! მგონი, უკვე შეიძლება გამოცნობა, ვინ იდგება კვიპროს-ბულგარეთთან ოქტომბრის სანაკრებო მატჩებში — გიორგიმ ბოლო წუთებში მერებაშვილს ფეხით აუღო, ბოლოს ზაალ ელიავას დარტყმულს გაუმკლავდა და თამაშიც აქ მორჩა.

„ლოკომოტივს“ ორი მატჩიდან ექვსი ქულა აქვს და ჯერ ერთი ბურთიც არ გაუშვია, „დინამოს“ კი, ჩემპიონატი ჯერ ხეირიანად არ დაწყებულა და უკვე ორი წაგება აქვს გრაფაში...

უკვე შეიძლება ითქვას, ჩემპიონებს ტიტულის დაცვა ძალიან გაუჭირდებათ.

ჰო, ცხადია, მატჩს ექტორ რაულ კუპერიც დაესწრო...

## პრესკონფერენცია

*გიორგი კიკნაძე:* მადლობა ჩემს ფეხბურთელებს, მათ მაქსიმალურად შეასრულეს დავალება. დღეს ვნახეთ გიორგი ლომაიას მშვენიერი თამაშიც, რაც ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბს გაახარებდა. ჩვენი მთავარი ამოცანა ფლანგების ამოკეტვა და მერებაშვილ-ვაწაძის წყვილის განეიტრალება იყო. ეს შესრულდა: „დინამოს“ ფლანგებიდან ხიფათი თითქმის არ შეუქმნია და მერებაშვილი-ვაწაძეც ვერ იყვნენ ისეთი აქტიურები, როგორც სჩვევიათ. თუმც ეს მოგება იმას არ ნიშნავს, რომ უნდა ავმჩატდეთ. წინ არანაკლებ მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს „ვიტ ჯორჯიასთან“.

*რაინერ ცობელი:* დღეს საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მატჩი ვნახეთ. მეტოქეს მოგებას ვულოცავ და აქვე ვიტყვი, რომ ეს იღბლიანი გამარჯვება იყო. ცუდად არ გვითამაშია, განსაკუთრებით, გოლის შემდეგ. ბევრი საგოლე შანსი გვქონდა, მაგრამ არ გვყავს გამოცდილი თავდამსხმელები. მაგალითად, მერებაშვილს ორ ეპიზოდში კარში უნდა დაერტყა, მან კი ეს არ გააკეთა. ჯერ ახალგაზრდაა და ამიტომ, გამოცდილება აკლია. 18-19 წლის ბიჭები მყავს „დინამოში“ და მათთან მუშაობა მომწონს. მჯერა, სიტუაციას გამოვასწორებთ, „დინამომ“ ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლოს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| გაგრა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ზესტაფონი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| სიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| მესხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 3 |
| მგლები | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ოლიმპი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ბორჯომი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

# ლომაია ნაკრებს და ლომაიას ელის

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მესამე ტური ჩათამაშდა და მთავარ შეხვედრაში თბილისის „ლოკომოტივმა“ ქვეყნის ჩემპიონი „დინამო“ 1:0 დაამარცხა. დინამოელებს რამდენჯერმე შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ მეკარე გიორგი ლომაია საიმედოდ იდგა. საქართველოს ნაკრებს მალე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ელის კვიპროსთან და ბულგარეთთან და დიდი შანსია, ეროვნული ნაკრების კარი ლომაიას ჩააბარონ. „ლოკომოტივის“ მეკარეს გუშინ გავესაუბრეთ...



— კარგი თამაში გამოვიდა. ყველამ მაქსიმუმი გავიღეთ და დაგვიფასდა კიდეც. ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ამ შეხვედრაში „ლოკომოტივმა“ უკეთ ითამაშა.

— ჩანს, ფორმაში ხარ: რამდენჯერმე გადაარჩინე გუნდი გოლს...

— ერთიანობით ვიმარჯვეთ. საგურამოს ბაზაზე კარგი პირობები გვაქვს და ეს უკვე თითოეულ ფეხბურთელს ეტყობა.

— მომავალ ტურში გათამაშების ლიდერ „ვიტ ჯორჯიას“ ხვდებით, სადაც შენი ძმა, დავითი თამაშობს. ძმების დაპირისპირება ალბათ განსაკუთრებით საინტერესო იქნება...

— ერთმანეთს აქედანვე ვაბრაზებთ. ერთი სულ მაქვს, როდის შევხვდებით მინდორზე...

— „ლოკომოტივის“ მიზანი ჩემპიონობაა?

— კონკრეტული მიზანი არ გვაქვს დასახული. გვინდა, რაც შეიძლება, მეტი შეხვედრა მოვიგოთ და ისეთი სულისკვეთებით ვითამაშოთ ყველა მატჩი, როგორც „დინამოსთან“.

— ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად ვის მიიჩნევ?

— ძალიან ძნელია რომელიმეს გამორჩევა. არის 5-6 გუნდი, თუმცა არც სხვების ჩამოწერა არ შეიძლება. ხომ ხედავთ, როგორ დაიწყო ჩემპიონატი — „დინამომ“ და „ზესტაფონმა“ „გაგრასთან“ და „მესხეთთან“ წააგეს. ადვილად ველარავის მოუგებ და დაძაბულობა ჩემპიონატს თავისთავად უფრო საინტერესოს ხდის. ვისაც ბოლომდე გაჰყვება ძალა, ჩემპიონიც ის გახდება.

— ნაკრების თემასაც შევეხოთ. ექტორ რაულ კუპერმა სამშაბათის ვარჯიშზე გიხმო...

— ამან ძალიან გამახარა. ეს ყველა გამოძახებული ფეხბურთელისთვის დიდი სტიმულია. კარგია, რომ კუპერი საქართველოში ცხოვრობს და თავად აკვირდება ფეხბურთელებს. არ გამოვრიცხავ, რომ ნაკრებში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გამოჩნდეს, ვისაც იქ არასოდეს უთამაშია.

— როგორ ფიქრობ, კუპერი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის გიხმობს?

— ვერაფერს გეტყვით, თავად კუპერი გადაწყვეტს, ვარ თუ არა ნაკრებში გამოძახების ღირსი.

— ჩვენმა ნაკრებმა კუპერის ხელში რამდენიმე მატჩი უკვე გამართა. ამ შეხვედრებზე რას იტყვი?

— სამწუხაროდ, შესარჩევი ციკლის ორივე მატჩი წავაგეთ, მაგრამ ჩვენს თამაშში შეიმჩნეოდა დისციპლინა. მჯერა, რომ კუპერი საქართველოს ნაკრებს სწორ გზაზე დააყენებს.

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურში ორი სენსაცია გამოცხვა — „ზესტაფონი“ ახალციხის „მესხეთმა“ გააკრა ბექებზე (0:1), ხოლო „ბორჯომმა“ ოდენ ქულით გამოისტუმრა ბოლნისის „სიონი“ (0:0) საომარი მდგომარეობის გამო „მესხეთს“ შეკრება, ფაქტობრივად, არ გაუვლია, თუმცა უკვე მეორე ტურია, გუნდებს ამწარებს — ჯერ რუსთავის „ოლიმპთან“ ფრე გაახერხა, „ზესტაფონი“ კი სულაც უქულოდ დატოვა. გუშინ „მესხეთის“ მთავარ მწვრთნელ კობა თედიაშვილს გავესაუბრეთ...



# მესხეთმა თურქს ზესტაფონი აჩვენა

— ურთულესი მატჩი გვქონდა და ძალიან გახარებულები ვართ, რომ გავიმარჯვეთ. „ზესტაფონის“ თამაში შესწავლილი გვქონდა და ვიცოდით, როგორ შემოგვიტევდა. ბიჭებს კონტრშეტევაზე თამაში დავავალე და ეს ძალიან კარგად შეასრულეს.

— როგორ ფიქრობთ, მაინც რის ხარჯზე მოახერხეთ გამარჯვება?

— მეტოქეს ცენტრიდან შეტევის საშუალება არ მივეცით და ფლანგები დავუთმეთ. რა თქმა უნდა, გაგვიმართლა კიდეც, „ზესტაფონმა“ პენალტიც ვერ გამოიყენა, მერე შოთა გრიგალაშვილი გაგვიძევეს და ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ ბიჭებმა გაძლეს და უაღრესად საჭირო ქულები ავიღეთ.

— ცოტა გასაკვირია, მოუმზადებელმა გუნდმა ფავორიტებს ტოლი არ დაუდო...

— გეთანხმებით, ფიზიკური მომზადება გვაკლია. ეს „ლოკომოტივთან“ მეორე ტაიმშიც კარგად გამოჩნდა. ახლა კი გუნდი ნელ-ნელა ფორმაში შედის და მჯერა, კიდევ მოვუმატებთ.

— კლუბის პრეზიდენტმა გია მესხელმა გვითხრა, გუნდს, ფაქტობრივად, ნისიად ვათამაშებო...

— რაც გვაქვს ასალები, ნელ-ნელა გვიხდიან და საწუწუნო არაფერი გვაქვს. უკვე რამდენიმე წელია, ამ გუნდში ვარ და არავის ვალი დაუტოვებიათ.

— ისიც ითქვა, ზამთარში გუნდს თურქი ბიზნესმენი დააფინანსებსო...

— დიახ, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, თურქი ბიზნესმენი დააფინანსებს „მესხეთს“. მანამდე გუნდმა თავი არ უნდა შეირცხვინოს და ასეც არის, ყველაფერი ნორმალურად მიდის.

— პირველ წრეში რომელ ადგილს გეგმავთ?

— მთავარია, გასავარდნ ზონას ავცდეთ. „მესხეთს“ მეექვსე-მეშვიდე ადგილზე გასვლა შეუძლია.

— საშინაო მატჩებს ბორჯომში ატარებთ და ახალციხის სტადიონს რეკონსტრუქცია არ უკეთდება?

— ამ ჩემპიონატში ბორჯომში ვითამაშებთ. ინვესტორი რომ მოვა, მაშინ დაიწყება ახალციხის სტადიონის მოწესრიგება.

**ნუკრი ლოლაძე**

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
## პირველი ლიგა I წრე. 4 ტური

# ტალახიანი ქულა



ლადო ნადირაშვილმა საჩხერელები არაერთხელ გააწბილა

**ჩიხურა 1:1 ამერი**

0:1 ტიკურიშვილი (28), 1:1 მიქაძე (75)

**ჩიხურა:** დოლაძე, ზივზივაძე, ბარაბაძე, მგალობლიშვილი, ტყებუჩავა, ჭიღლაძე, ნოზაძე (ზაბახიძე 76), დოლონაძე, კობახიძე (პეტრიაშვილი 76), მიქაძე, როგავა (გულიაშვილი 76)

*სათადარიგონი:* მწყერაშვილი, ჩიკვაიძე, ცარციძე, მაჭარაშვილი

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, სანიკიძე, კაკაბაძე, ხუციძე (ქებაძე 86), ლაფერაშვილი (ხელაძე 72), ჩიმაკაძე, ლ. ბოჯგუა, ტიკურიშვილი, ბენდელიანი

*სათადარიგონი:* გვენცაძე, ცხოვრებაშვილი, გ. ჯელაძე, გრძელიძე, ადეიშვილი

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ლაფერაშვილი, ტიკურიშვილი

მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

300 მაყურებელი

**საჩხერის** „ჩიხურა“ და თბილისის „ამერი“ 1:1-ზე გაეყარნენ ერთმანეთს.

წვიმიან ამინდში ტალახიან მოედანზე საკმაოდ კარგი თამაში გამოვიდა და ორივე გუნდს შეეძლო მოგება. „ამერი“ გიორგი ტიკურიშვილის საჯარიმოს გარედან დარტყმულით დაწინაურდა, თუმცა მასპინძლებმა მირიან მიქაძის თავურით გაათანაბრეს.

„ჩიხურა“ მერეც ეცადა გატანას, მაგრამ „ამერი“ დაცვაში მაგრად დადგა და საბოლოოდ ფრე.

**ლუკა თალაკვაძე**

28 სექტემბერი

**დინამო 2 1:0 გაგრა 2**

**ჩიხურა 1:1 ამერი**

**ჰერეთი 1:0 თბილისი**

**დილა 3:0 სიონი 2**

**ვიტ ჯორჯია 2 1:0 ნ. დინამო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| დილა | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ამერი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| სიონი 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| ჩიხურა | 4 | 1 | 2 | 1 | 7:4 | 5 |
| ნორჩი დინამო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| თბილისი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| კახეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ჰერეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| გაგრა 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | 0 |

28 სექტემბერი

**მეშახტე 1:1 გურია**

**ბათუმი 0:2 სამტრედია**

**ტორპედო 2008 0:2 ჭიათურა**

**ზესტაფონი 2 1:0 ხობი**

**მერანი (მ) — ბაია**

*ჩატარდება 10 ოქტომბერს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭიათურა | 4 | 3 | 0 | 1 | 11:4 | 9 |
| სამტრედია | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| ბაია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| კოლხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ხობი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| მერანი (მ) | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ზესტაფონი 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| ბათუმი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| გურია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:6 | 2 |
| ტორპედო 2008 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:4 | 1 |
| მეშახტე | 4 | 0 | 1 | 3 | 3:11 | 1 |

# საქართველო უნგრეთმა ჩატოვა

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებმა 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ბოლო შეხვედრაც ჩაატარა და ბოსნია-ჰერცოგოვინას 1:0 სძლია, თუმცა ეს მოგება გელა შეყილაძის გუნდს აღარ ეყო.

საქმე ისაა, რომ ტურნირის მასპინძელმა უნგრეთმა ჯგუფის ლიდერ ჩეხეთთან 0:0 ითამაშა და სწორედ ამ ქულით გაასწრო საქართველოს.

**კახა ზალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| საქართველო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ბოსნია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |



გელა შეყილაძე

# ქართული კვარტეტი კოპენჰაგენში

**11 ოქტომბერს** 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ერთ მატჩს ქართველები განსჯიან.

ლევან ფანიაშვილი, ვასილ ელისაბედაშვილი, ზურაბ ჯვარიძე და გიორგი ვადაჭკორია კოპენჰაგენში დანიისა და მალტის ნაკრებების თამაშზე არიან დანიშნულები.

ეს გუნდები ევროპის ზონის პირველ ჯგუფში არიან.

**კახა ზალამბერიძე**

# ახალგაზრდა საქართველო ელიტაში რუმინეთმა არ შეუშვა

**27 სექტემბერს** პოლონეთის ქალაქმა სოპოტმა ევროპის ჩემპიონატის ფინალს უმასპინძლა 19-წლამდელ მორაგბეთა შორის. ქართველმა ბორჯღალოსნებმა გვარიანად დაძაბულ თამაშში 28:31 წააგეს რუმინელ თანატოლებთან და „მუხის ფოთლებს“ ჩემპიონობასთან ერთად გაისად კენიაში გასამართი მსოფლიოს თასის საგზურიც დაუთმეს.

ჰოლანდიის (62:7) და რუსეთის (37:0) ნაკრებებთან ეშხიანი და თვალსასეირო გამარჯვების შემდეგ პატარა ბორჯღალოსნები რუმინელებთან ერთი საჯარიმო დარტყმით დამარცხდნენ.

სათქმელია, რომ რუსეთთან დაპირისპირებამ დიდი ძალები წაიღო და იქნება ესეც იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც ქართველების მარცხი განაპირობა. აბა, რა შეხსენება უნდა იმ ამბავს, რომ რუს თანატოლებთან გამარჯვებაზე ჩვენმა ბიჭებმა უდიდესი ემოცია, ძალა და ენერგია შეალიეს. იმიტომ კი არა, რომ რუსეთი ძალიან ძლიერი იყო, უბრალოდ, იმ დღეს რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ ქართველი ბიჭები სხვანაირად ვერ ითამაშებდნენ!..

რუსებთან ბრძოლაში დაგვიშავდა ნაკრების ლიდერი ვატო კოლელიშვილი, ასევე ვერ ითამაშა ერეკლე მეტრეველმა, გოდერძი ჯოგლიძე კი ბოლოსდა შევიდა მოედანზე.

ამ ფაქტორებმა მძლავრი მეტოქის წინააღმდეგ თამაშს თავისი დაღი დაასვა, თუმც ქართველებს მოგება მაინც შეეძლოთ, მაგრამ...

პირველი ქულები ბორჯღალოსნებმა საჯარიმო დარტყმით მოიპოვეს 3:0. ამას მეტოქემ არეკნით უპასუხა — 3:3. არეკნი მალევე ჩვენებმაც გაიტანეს და ისევ წინ გაიჭრნენ 6:3. ტაიმის შუაწელში „მუხის ფოთლები“ მოგვეძალნენ და 24-ე წუთზე ლელოს ზუსტი გარდასახვაც მოაყოლეს.

რუმინელებს სიხარული დიდხანს არ დასცალდათ ბორჯღალოსნებმა ლელო დაამიწეს და არც გარდასახვა გაუფუჭებიათ — 13:10.

მეტოქემ მალე ისევ ლელო გაგვიტანა გარდასახვა აღარ გამოუვიდა და ტაიმი 18:13 წავაგეთ.

მეორე ტაიმის დასაწყისი გადამწყვეტი აღმოჩნდა: რუმინელებმა უმოკლეს პერიოდში ლელოც გაგვიტანეს, გარდასახვაც ზუსტად დაარტყეს და მერე არც ჯარიმის დარტყმისას აკანკალებიათ ფეხი — 28:13.

ქართველები გამოცოცხლდნენ და ხელდახელ თამაშით მიზანსაც უწიეს, თუმც გარდასახვა გაუფუჭდათ. ზუსტი საჯარიმოს შემდეგ კი რუმინეთი ერთი გარდასახული ლელოთიღა გვისწრებდა, როცა იმათმა დამრტყმელმა პეტრესკუმ თავი გამოიდო და ჯარიმა ასე 50 მეტრიდან გაგვიტანა.

დარჩენილ დროში ქართველები ჯარიმას და გარდასახვას გამორჩნენ, რაც მხოლოდ ანგარიშის შესალამაზებლად გამოგვადგა.

ისე კი, აბა, როგორ გინდა, პატარა ბორჯღალოსნებზე ენა სასაყვედუროდ მოგიბრუნდეს. ნაკრები პოლონეთში სრულფასოვანი მოსამზადებელი ეტაპის გარეშე გაემგზავრა და იქ ეგებ მთავარი გასაკეთებელი გააკეთა კიდეც — რუსეთი დაამარცხა!..

**ლექსო მაისურაძე**

| ფინალი |
|---|
| საქართველო 28:31 რუმინეთი |
| მე-3 ადგილისთვის |
| რუსეთი 32:29 პორტუგალია |
| მე-5 ადგილისთვის |
| ესპანეთი 22:7 ჰოლანდია |
| მე-7 ადგილისთვის |
| ბელგია 27:5 პოლონეთი |



ვასილი კაკოვინმა და დანარჩენმა ქართველებმა ფინალში რუმინელებს ვერაფერი მოუხერხეს

ანა პოლოსიანი 24 წლის გოგონაა. ყოფილი მძლეოსანი ამჟამად კი საქართველო ქალ მორაგბეთა ნაკრების წევრი და რაგბის მსაჯია. ანა საქართველოს საფეხბურთო ნაკრების წევრიცაა, სწორედ ფეხბურთიდან მოვიდა დიდ რაგბიში. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა სპორტი ნაკლებად პოპულარულია, ანას აქტიური სპორტული ცხოვრება აქვს. დაუღალავმა, ყოველდღიურმა ვარჯიშმა შედეგი გამოიღო და იგი წელს ევროპის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა...

22 წლის მაკა ტყებუჩავა ანა პოლოსიანის თანაგუნდელია. ისიც შვიდქალა ნაკრების მორაგბეა და ანას მსგავსად რაგბის მსაჯობაც დაიწყო. ქალთა რაგბი და მით უმეტეს ქალი მსაჯები ჩვენში უცხო ხილად აღიქმება. საიდან მოვიდნენ ეს გოგოები და როგორია მათი სპორტულ-მსაჯური კარიერა... საამისოდ მათ ინტერვიუები ჩამოვართვით. თავიდან მაკა ტყებუჩავას გავესაუბრეთ

# მივედი, ვნახე, მომეწონა

## პროტესტი არ მიიღება: ქალი მსაჯი შინ თუ გარეთ ქალია



— რამდენად დიდ ფიზიკურ და მორალურ ძალას მოითხოვს რაგბი ქალისგან?

— შვიდქალა რაგბიში მთავარი სისწრაფეა, ტრადიციული რაგბისგან განსხვავებით, რომელიც მართლა დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვს, მაგრამ ასეთი ნაკრები საქართველოში არ გვყავს.

— რამ გადაგაწყვეტინა რაგბიში მისვლა?

— 22 წლის ვარ. 10-11 წლიდან ვვარჯიშობ. დავდიოდი კარატეზე და ძიუდოზე. კარატე პერსპექტიული არ იყო ჩემთვის და რაგბიმ გამიტაცა. მეგობარმა მითხრა, რომ შვიდქალა რაგბი იქმნებოდა. მივედი, ვუყურე და მომეწონა. შემდეგ პოტენციალიც აღმომაჩნდა.

— ოჯახში როგორ მიიღეს შენი არჩევანი?

— წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, პირიქით, ყველანაირად ხელს მიწყობდნენ. არიან გოგოები, რომლებიც დაოჯახების შემდეგ შორდებიან რაგბის. მე — მსაჯიც ვარ და მორაგბეც. შერკინებაში ვთამაშობ. მართალია, ბევრი ფიქრობს, რომ რაგბი ქალის საქმე არ არის, მაგრამ მთავარი საკუთარი აზრი და, სურვილია. არის ასეთი ქალი მორაგბე — ოლია ნაცვლიშვილი, რომელიც დაოჯახების შემდეგაც თამაშობდა და ახლახანს დაასრულა კარიერა.

— ტურნირები ხშირად იმართება?

— ქალთა რაგბი სულ ორი წელია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში ძირითადად აზერბაიჯანელებთან ვთამაშობდით, მაგრამ ამ ბოლო დროს რაგბის კავშირი მეტ ყურადღებას გვაქცევს და გვქონდა გასვლითი თამაშიც ბოსნია-ჰერცოგოვინაში. ტურნირზე გაზაფხულზე გავემგზავრეთ. სულ თორმეტი გუნდი მონაწილეობდა და მეათე ადგილზე გავედით. ჯერ კიდევ შარშან ვგეგმავდით ამ ტურნირზე გამგზავრებას, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ წავედით. წელსაც სათუო იყო ჩვენი გამგზავრება, ამიტომ ენთუზიაზმი გვაკლდა. ოდნავ მეტი რომ გვევარჯიშა, სამეულში აუცილებლად გავიდოდით.

— რას საქმიანობ რაგბის თამაშის გარდა?

— მსაჯი ვარ და თან ვსწავლობ ყოფილ სპორტის აკადემიაში, მწვრთნელთა ფაკულტეტზე.

**ანა მახარაშვილი**

# ანა პოლოსიანი: სპორტი ჩემი ცხოვრებაა

— რამდენი ხანია, თამაშობთ და როგორ დაიწყო თქვენი სარაგბო კარიერა?

— მესამე წელია, ვთამაშობ რაგბის. სრულიად შემთხვევით, ფეხბურთიდან მოვხვდი რაგბიში. თანაგუნდელმა გამაცნო მორაგბეთა მწვრთნელი ზურა დუგლაძე, რომელმაც შემომთავაზა რაგბის თამაში. პირველი შეკრება, მახსოვს, ასპინძაში გვქონდა. ამასთან 4 წელია, ფებურთს ვთამაშობ. 2005 წელს ჩამოყალიბდა ქალთა ნაკრები და მესამე წელია, მისი წევრი ვარ.

— **ხართ მორაგბე, ფეხბურთელი და პარალელურად მსაჯობთ, შეიძლება ითქვას, სპორტით ცხოვრობთ...**

— 13 წლიდან ჩაბმული ვარ სპორტში, ეს ჩემი ცხოვრებაა. ვიყავი მძლეოსანი, ვარ მორაგბე, მსაჯი, ფეხბურთელი.

— გქონდათ თუ არა ხელის შემშლელი ფაქტორები?

— არანაირი ხელის შემშლელი ფაქტორები, ჩემი ოჯახი ჩემს გადაწყვეტილებებს პატივს სცემს, ეს ჩემი ცხოვრებაა, ჩემი ცხოვრება სპორტია. მეგობრები, მწვრთნელები ყოველთვის ჩემ გვერდით არიან, სწორედ მწვრთნელის შემოთავაზებით გავხდი მსაჯი. ვმსაჯობდი ევროპის შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებს, კმაყოფილი ვარ მიღებული გადაწყვეტილებით. თუმც, რთულია, იყო არბიტრი, ფეხბურთელი და პარალელურად მსაჯიც.

— ანა, რას გვეტყვით ქართული რაგბის დონეზე? წელს გაზაფხულზე ბოსნია-ჰერცოგოვინაში ჩატარებულ ტურნირზე მიღწეული შედეგებით კმაყოფილი ხართ?

— ქალთა სპორტი, ზოგადად, ნაკლებად პოპულარულია. მიუხედავად იმისა, რომ რაგბის კავშირისგან დაფინანსება და ყურადღება არ გვაკლია. ქართული რაგბი განვითარების საწყის ეტაპზეა. წელს, გაზაფხულზე პირველად ვიმყოფებოდით მორაგბეთა ნაკრები უცხოეთში ტურნირზე, რომელშიც 12 ქვეყანა მონაწილეობდა. 7 თამაში ჩავატარეთ. მხოლოდ 2 შეხვედრა მოვიგეთ, მაგრამ პირველი ცდისთვის ნორმალური შედეგია.

— როგორც თქვით, ნაკრები პირველად იმყოფებოდა უცხოეთში ტურნირზე. თუმცა ამხანაგური თამაშებიც გქონიათ...

— საქართველოში, რა თქმა უნდა, ვთამაშობთ ამხანაგურ თამაშებს. ძირითადად, ბაქოს ნაკრებთან. ისე, ქალთა რაგბიში უკეთესი სიტუაციაა ფეხბურთთან შედარებით.



— მომავალი ტურნირი კვლავ გაზაფხულზეა დაგეგმილი. რამდენად მობილიზებულია ნაკრები და გაქვთ თუ არა პოტენციალი, რომ უკეთეს შედეგს მიაღწიოთ?

— მზადება უკვე დავიწყეთ, დეკემბრიდან კიდევ უფრო აქტიურ ვარჯიშზე გადავდივართ. რაც შეეხება პოტენციალს, იგი მართლაც გვაქვს.

**სალომე ძლიერიშვილი**

სუმო



კოკაიმ დადებითი ბალანსი ბოლო დღესღა გაინაღდა

# დადებითი ქართველები იმპერატორი ჰაკუხომ ჩაიხუტა

**თითქოს**, ჯერ კიდევ, რამდენიმე დღის წინ უნდა გაენაღდებინათ ქართველ სუმოისტებს, ტოკიოს სექტემბრის ბაშოს, დადებითი ბალანსით დასრულება. ტურნირის დასრულებამდე ხუთი დღით ადრე ლევან ცაგურიას (კოკაი) და ოთხი დღით ადრე ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი) შვიდ-შვიდი გამარჯვება ჰქონდათ და დარჩენილ ოთხ შეხვედრაში საკმარისი შანსი მიეცემოდათ სასურველი შედეგის მისაღწევად, მათ ხომ მხოლოდ თითო გამარჯვების მოპოვებაღა სჭირდებოდათ ამისათვის.

თუმცა ჩვენებმა საქმე გაირთულეს, ბოლო დღეებში კოკაიმ ზედიზედ ოთხი, ხოლო ტოჩინოშინმა ზედიზედ სამი შეხვედრა წააგო და ამით ტურნირის ბოლო, მეთხუთმეტე საშეჯიბრო დღის წინ, ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩაიყენეს თავი. ორივე მათგანს 7-7 გამარჯვება და წაგება ჰქონდა.

კიდევ კარგი, ეს ბოლო დღე მაინც ჩაატარეს ისე, როგორც მათ შეეფერებოდათ და პირველად, პროფესიული სუმოს არსებობის ისტორიაში, უმაღლეს მაკუუჩი დივიზიონში მოასპარეზე ორივე ქართველმა რიკიშმა, დადებითი ბალანსით დაასრულა შეჯიბრება, მათ ანგარიშზე — 8 გამარჯვება და 7 წაგება იყო.

ახლა უფრო კონკრეტულად მოგახსენებთ, ბოლო ორ, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საშეჯიბრო დღეებს.

დავიწყებთ აღმოსავლეთის მეათე მაეგაშირა, ტოჩინოშინით, რომელმაც შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე, აღმოსავლეთის მეცამეტე მაეგაშირასთან, ჩიოჰაკუჰოსთან იჭიდავა და ყველა პროგნოზის მიუხედავად დამარცხდა. ამის შემდეგ ქართველ ფალავანს ერთი შეხვედრაღა ჰქონდა დარჩენილი. ეს იყო ბოლო შანსი, აქ უკვე აღარ ჰქონდა ჩვენიანს წაგების უფლება.

როგორც ჩანს, ლევან გორგაძემ სრულად გააცნობიერა ის მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა და მეთხუთმეტე შერკინებაში, აღმოსავლეთის მეთხუთმეტე მაეგაშირა ტამავაში დასცა ძირს. ამით ლევანმა, პირველ რიგში ტოკიოს ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება გაინაღდა და მეორეც, მან განახლებულ რეიტინგში უფრო უკეთესი პოზიცია დაიბევა.

ახლა რაც შეეხება, მეორე ქართველს, უფრო ზუსტად კი პირველი ქართველი და ევროპელი პროფესიონალი სუმოისტის კოკაის მდგომარეობას. შეჯიბრების ბოლო დღეს არც ამ ფალავანის მდგომარეობა იყო სახარბიელო, რადგან მეთოთხმეტე შეხვედრაში დამარცხდა აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა იოშიკაძესთან, რის შემდეგაც ბოლო შერკინებაღა ჰქონდა დარჩენილი.

ეს ბოლო ბრძოლა, შეიძლებოდა ლევან ცაგურიასთვის მაკუუჩი დივიზიონში ჩატარებული ბოლო შეხვედრაც კი აღმოჩენილიყო, რადგან აღმოსავლეთის მეთექვსმეტე მაეგაშირა კოკაი, დასავლეთის მეცამეტე მაეგაშირასთან, კიტატაიკისთან წაგების შემთხვევაში უარყოფითი ბალანსით დაასრულებდა ტურნირს, ეს კი ავტომატურად უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნის ტოლფასი იქნებოდა. თუმცა, ჩვენდა გასახარად, ცაგურიამ მოახერხა ძალების სრული მობილიზება და მოწინააღმდეგე დოჰიოდან განდევნა. სწორედ ამ გამარჯვებით გაინაღდა ქართველმა დადებითი ბალანსი. ის რაც ყველა სუმოისტისთვის უპირველესი საზრუნავია ნებისმიერ შეჯიბრებაზე.

წესით და რიგით ახლა ლევან ცაგურია სუმოისტთა „უმაღლეს ლიგაში“ ადგილს შეინარჩუნებს, რაც ძალიან სასიამოვნოა, ჩვენ იმის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომდევნო ნოემბრის ბაშოზეც კარგად იასპარეზებენ ქართველი რიკიშები. ეს მომდევნო შეჯიბრება 9 ნოემბერს იწყება, შესაბამისად განახლებული რეიტინგი, ბანძუკე ამ ტურნირის დაწყებამდე ორი კვირით ადრე გამოქვეყნდება.

სექტემბრის ბაშოს გამარჯვებული, როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოსავლეთის იოკოძუნა, მონღოლი ჰაკუჰო გახდა, რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა მთელი ტურნირი თოთხმეტი შეხვედრა მოიგო, ერთი წააგო და ღირსეულად დაეუფლა იმპერატორის თასს. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ერთმანეთში აღმოსავლეტის ოძეკმა კოტომიცუკმა და აღმოსავლეთის სეკივაკე ამამ, ორივე მათგანს თორმეტ-თორმეტი გამარჯვება და სამ-სამი მარცხი ჰქონდა.

**გიორგი არაბული**

კალათბურთი

# რუსთაველები ევროპას ევროპელებით შეუტევენ

***ნამდვილად*** *არ ვართ განებივრებულები, ქართული საკალათბურთო გუნდების თამაშით ევროთასებზე. რამდენიმე წლის მანძილზე, არცერთ ჩვენს კლუბს არ მიუღია მონაწილეობა მსგავს შეჯიბრებაში, მაგრამ შარშან საქართველოს ჩემპიონმა, რუსთავის „ენერჯი-ინვესტმა“ ეს უსიამოვნო ტრადიცია დაარღვია და ფიბას ევროთასზე ითამაშა.*

*მართალია მაშინ, რუსთაველებმა ორივე, საშინაო და გასვლითი შეხვედრა წააგეს „ამსტერდამთან“, მაგრამ მთავარი იყო, რომ პრეცენდენტი შედგა. ქართულმა გუნდმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ევროპაში ითამაშა და რეალურად დავინახეთ ჩვენი კალათბურთის დონე.*

*„ენერჯი-ინვესტის“ ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს წელსაც არ გაჩერებულიყვნენ უქმად და გუნდი კვლავ წარადგინეს ფიბას ევროთასზე. ჩატარდა კენჭისყრა, რის შემდეგაც, ჩვენს ჩემპიონს მეტოქედ, უკრაინის „სუმიხიმპრომი“ ერგო.*

*ეს ორმატჩიანი დაპირისპირება, საქართველოში დაიწყება 14 ოქტომბერს და 21 ოქტომბერს უკრაინაში დასრულდება. რუსთაველები საშინაო შეხვედრას, თბილისის სპორტის სასახლეში ჩაატარებენ.*

*რუსთაველები ამ თამაშისათვის მზადებას კარგა ხანია შეუდგნენ, გუნდმა რამდენიმე ქართველი კალათბურთელი უკვე დაიმატა და უახლოეს მომავალში ლეგიონერების ჩამოყვანასაც ფიქრობენ. თუმცა ამ ყველაფრის შესახებ, სჯობს გუნდის მთავარ მწვრთნელს,* ***დავით უსტიაშვილს*** *მოვუსმინოთ.*

— უკვე კარგა ხანია, გუნდმა ახალი სეზონისათვის დაიწყო მზადება. საკმაოდ კარგი სიტუაციაა შექმნილი და სრული სერიოზულობით ვემზადებით ევროთასის შეხვედრებისათვის.

— ამჟამად რამდენი კალათბურთელია გუნდში?

— ათი გამოცდილი და ოთხიც ახალგაზრდული გუნდის კალათბურთელი ვარჯიშობს. ისე მიდის მზადება, რომ 14 ოქტომბრისათვის კარგ ფორმაში იყოს ყველა მოთამაშე, რადგან წლევანდელ სეზონში ეს ევროთასები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

—ახლა გუნდში ვინ ვარჯიშობენ?



დავით უსტიაშვილი და მიხეილ ბერუაშვილი

— დავით უგრეხელიძე, ჯულიეტ ტუჯანი, რეზო დიდია, ზვიად ბაბიაშვილი, ბესიკ ლეჟავა, მიხეილ ჭოჭუა, დავით არწივიძე, გოგა ცეკვავა, კოტე ტულუში და ლაშა გამყრელიძე. ასევე ახალგაზრდული გუნდის მოთამაშეები — მაჭავარიანი, დვალიშვილი და ხმელიძე.

— თუ აპირებთ შემადგენლობის კიდევ უფრო გაძლიერებას და ლეგიონერების ჩამოყვანას, ისე როგორც ეს შარშან მოხდა?

— დიახ, ვაპირებთ ლეგიონერების ჩამოყვანა, მაგრამ ჯერ დანამდვილებით ვერ გეტყვით, ვის ჩამოვიყვანთ და რა ამპლუის მოთამაშე იქნება. საუბრები მიდის რამდენიმე სხვადასხვა პოზიციის მოთამაშეზე, როდესაც ყველაფერი გაირკვევა, მაშინ აუცილებლად გაცნობებთ. წესით ეს ყველაფერი კვირის ბოლომდე უნდა გაირკვეს.

— თქვენ სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნდით ნაკრებიდან, მანამდე ვინ ავარჯიშებდა გუნდს?

— ჩემი თანაშემწე მიხეილ ბერუაშვილი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია გუნდშია. სწორედ ის ავარჯიშებდა ჩემს არ ყოფნაში „ენერჯი-ინვესტს“. სხვათა შორის, ჩვენზე ცოტათი ადრე შეუერთდა გუნდს დავით უგრეხელიძე, რომელიც მანამდე საზღვარგარეთ იყო.

— რას იტყვით „სუმიხიმპრომზე“?

— ეს არის საკმაოდ კარგი გუნდი, რომელმაც შარშან უკრაინის ჩემპიონატში ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა. შეიძლება ძალიან მაღალი დონის ევროპული გუნდი არ იყოს, მაგრამ არც ხელწამოსაკრავი მეტოქეა.

— თუ გაქვთ ნანახი ამ გუნდის თამაშის ვიდეოფირი, ან შემადგენლობაზე რა ინფორმაციას ფლობთ?

— არა, ვიდეოფირი ნამდვილად არ მაქვს ნანახი, მე ნაკრებთან ერთად ვიყავი 35 დღე და შესაბამისად ფირის ნახვის საშუალება არ მქონია. თუმცა გარკვეული წარმოდგენა კი გვაქვს. ამ გუნდმა ითამაშა, რამდენიმე ტურნირი, სადაც კარგად გამოვიდა. ლიტვის ტურნირზე, საშუალო დონის ლიტვურ გუნდებს აჯობა და დამარცხდა მხოლოდ კაუნასის „ჟალგირისთან“, თანაც მათაც დიდი ბრძოლა გაუმართა. ეს ალბათ ბევრ რამეზე მეტყველებს. შემადგენლობის მხრივაც კარგად არის დაკომპლექტებული, რამდენადაც ვიცი, ახალი სეზონის წინ მოთამაშეების გარკვეული ნაწილი გაუშვეს და ახალი კალათბურთელებით გაძლიერდნენ.

— რა შედეგი იქნება თქვენთვის დამაკმაყოფილებელი ამ ორმატჩიან დაპირისპირებაში?

— პირველ რიგში გეტყვით, რომ „ენერჯი-ინვესტი“ ყველაფერს გააკეთებს, ბოლომდე ვიბრძოლებთ და სრულად დავიხარჯებით, რათა წარმატებას მივაღწიოთ, ხოლო აქედან რა გამოვა, ეს უკვე მოედანზე გაირკვევა. თავს ნამდვილად არ დავზოგავთ, ამას კი ვპირდებით ქართველ გულშემატკივარს.

**გიორგი არაბული**

ჩოგბურთი

# ჩვენების გრანადა წყვილადაც დასრულდა

**ქართველი** ჩოგბურთელები ეკატერინე გორგოძე და სოფო ქვაცაბაია ესპანეთის ქალაქ გრანადაში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირს დაემშვიდობნენ. ერთეულთა შეჯიბრში ეკატერინე გორგოძემ მერვედფინალში მასპინძელ მაიტე გაბარუს-ალონსოსთან — 7:6 3:6 0:6 წააგო, სოფომ კი ჩეხ ანდრეა ჰლავაჩაოვასთან 3:6 0:6.

ჩვენებმა ამის მერე წყვილებში ითამაშეს და მეოთხედფინალში გერმანელი ოზგი და თურქი ოზგენის მესამე ნომრად განთესილი დუეტი 6:3 6:3 მიჩოგნეს.

ქართული წყვილი ნახევარფინალში ესპანელებს კოსტას-მორეირასა და გაბარუს ალონსოს დაუპირისპირდა. პირველი სეტი მასპინძლებმა იოლად მოიგეს 6:2, აი, მეორე სეტში კი ბრძოლა გახურდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ესპანელმა ჩოგბურთელებმა იძალეს და 7:5 მოიგეს.

აქვე ვთქვათ, რომ გრანადის საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია.

**ნიკა კობაძე**

# მეცხრე ფრანგი მეცხრე ცაზე



ჟო-ვილფრედ ცონგა

**კაცები**
ბანგკოკი. ტაილანდი. ჰარდი
საპრიზო 576 000 $

### ნახევარფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (1, სერბეთი) — ტომაშ ბერდიხი (3, ჩეხეთი) 7:5 6:1; ჟო-ვილფრედ ცონგა (2, საფრანგეთი) — გაელ მონფილსი (4, საფრანგეთი) 6:0 6:3**

### ფინალი

**ცონგა — ჯოკოვიჩი 7:6 6:4**

ჟო-ვილფრედ ცონგამ და ნოვაკ ჯოკოვიჩმა წლეულს უკვე მეორე სპექტაკლი დადგეს. პირველად მათ ეს სეზონის სტარტზე გააკეთეს, თანაც ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში, სადაც ორივე მოულოდნელი სტუმარი იყო. ამჯერად კი ისინი ერთმანეთს ნაკლებ პრესტიჟული ტურნირის სატიტულო მატჩში დაუპირისპირდნენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, შეხვედრას არც ლაზათი მოჰკლებია და არც ინტრიგა.

ავსტრალიაში ჯოკოვიჩმა იხეირა, ბანგკოკში კი უკვე ცონგას ჯერი იყო. შეიძლება სერბის მოგება უფრო მეტადაც ფასობდეს, რადგანაც მან სლემტიტული მოიპოვა, მაგრამ ფრანგისთვის გუშინდელი გამარჯვება არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ — ჟო-ვიფლრედმა ხომ კარიერაში პირველი ტიტული გაინაღდა. თან, რაც არ უნდა იყოს, ცონგამ ამ წარმატებით შურიც იძია, რაც მისთვის ერთიორად სასიამოვნო უნდა იყოს.

ისე, ამ მეჩოგნეთა შორის ასეთი საინტერესო ჯახები ალბათ იმიტომაც იმართება, რომ მათი ყოველი დაპირისპირება განსხვავებული სტილების შერკინებაა ხოლმე — ერთის მხრივ, შეტევაზე დაგეშილი და ბადესთან თამაშის მოყვარული ფრანგი, მეორეს მხრივ კი უკანა ხაზიდან თამაშის მოტრფიალე სერბი.

იგივე ვიხილეთ გუშინაც, როცა ჩოგბურთელებმა ნამდვილი ტრილერი დადგეს. თავიდან უკეთ ჯოკოვიჩმა დაიწყო და ბრეიკიც გააკეთა, მაგრამ გალმა შეძლო მეტოქის საპასუხოდ გატეხვა და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, სადაც ნერვები უფრო მყარი აღმოაჩნდა. კარგა ხანი თანაბარი ბრძოლა იყო მეორე პარტიაშიც, მაგრამ მეცხრე გეიმში ცონგამ ბრეიკი გააკეთა და ამით ყველაფერი გადაწყვიტა. თუმცა სერბმა იოლად მაინც არ დაყარა ფარხმალი და მეტოქეს გვარიანად მოადენინა ოფლი — ცონგამ მხოლოდ სამი ბრეიკ-პოინტის განეიტრალების შემდეგ შეძლო გამარჯვება.

„ჩემი ცხოვრების ალბათ ერთ-ერთი უბედნიერესი მომენტია. თანაც ნოვაკის მაგვარ ძლიერ მეტოქეს მოვუგე — მატჩის წინ ოდნავ ვნერვიულობდი, რადგანაც მისი სათამაშო სტილი ჩემთვის ფრიად უხერხულია. მე ხომ დიდწილად საკუთარ მოწოდებაზე ვარ დამოკიდებული, ის კი მიღებაზე ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. თუმცა ყველაფერს წარმატებით გავართვი თავი და აგერ, სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვარ" — ყურებამდე იღიმებოდა ნამატჩევს ცონგა.

სხვათა შორის, ფრანგი უკვე მეცხრე მეჩოგნეა, ვინც წლეულს თავისი პირველი ტიტულის მოგება შეძლო. გარდა ამისა, ცონგამ ამ მოგებით სერიოზულად გაიუმჯობესა წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის შანსები — შანხაიში წამსვლელ ბოლო, მერვე ადგილზე მყოფ ჯეიმს ბლეიკს ის მხოლოდ 35 ქულითღა ჩამორჩება.

**კაცები**
პეკინი. ჩინეთი. ჰარდი
საპრიზო 534 000 $

### ნახევარფინალი

**დუდი სელა (ისრაელი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:3 6:3; ენდი როდიკი (2, აშშ) — ბიორნ ფო (გერმანია) 6:2 6:7 6:1**

### ფინალი

**როდიკი — სელა 6:4 6:7 6:3**

ენდი როდიკს განგებამ ფაქტობრივად გაუთავისუფლა გზა თავის 26-ე საკარიერო და მიმდინარე სეზონში მესამე ტიტულისკენ. ამერიკელის ყველა მეტ-ნაკლებად ძლიერმა სავარაუდო მეტოქემ პეკინში ძალიან უხეიროდ ითამაშა და ტურნირს ნაადრევად გამოეთიშა.

თუმცა ამაში როდიკს რა ბრალი მიუძღვის — ბედის საჩუქარი ერგო და კარგადაც შეირგო. ოღონდ ისიც სათქმელია, რომ ენდი-ბიჭს მაინც გვარიანად წვალება მოუწია, რადგანაც ნახევარფინალშიც და ფინალშიც გაცხარებულ წინააღმდეგობას გადააწყდა კლასით უფრო დაბალი მეტოქეებისგან და ორჯერვე სამ-სამ სეტიანი ბატალიების გადატანა მოუწია.

ასეა თუ ისე, იანკმა ყველა წინაღობა გადალახა და ტიტულიც დარჩა. პლუს რეიტინგში დაწინაურდა და პოზიციები გაუცვალა დავიდ ფერერს, რომელმაც კვირის დასაწყისშივე წაავო ენდის გუშინდელ მეტოქე დუდი სელასთან.

ბოლოს კი როდიკმა ლამაზი ჟესტიც გააკეთა და მოგებული საპრიზო — 25 000 დოლარი — ჩინეთის ჩოგბურთის ფედერაციას გადასცა გაზაფხულზე სიჩუანის პროვინციაში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის დროს დაზარალებულთა დასახმარებლად.

**ქალები**
პეკინი. ჩინეთი. ჰარდი
საპრიზო 600 000 $

### ნახევარფინალი

**ელენა იანკოვიჩი (1, სერბეთი) — ვერა ზვონარიოვა (5, რუსეთი) 6:4 2:6 6:4; სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) — ჟი ჟენგი (ჩინეთი) 7:6 7:5**

### ფინალი

**იანკოვიჩი — კუზნეცოვა 6:3 6:2**

ელენა იანკოვიჩი ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდა სერენა უილიამსს — ჩოგბურთელებს 21 სარეიტინგო ქულაღა აშორებთ. ასე რომ, სერბი უკვე მომდევნო კვირას ეცდება, მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსი დაიბრუნებას.

ეს ყველაფერი მას შემდეგ გაირკვა, რაც იანკოვიჩმა პეკინში ყველა დაჯაბნა და წლეულს თავისი მეორე, კარიერაში კი მეშვიდე ტიტული მოიპოვა. სერბმა საამისოდ საკმაოდ რთული გზა გაიარა, რადგანაც ჩინეთში ბლომად ბობოლებმა მოიყარეს თავი.

ამის მიუხედავად, ბალკანელმა დამაჯერებლად გაიარა მთელი ტურნირი და დამსახურებულადაც იხეირა. მას მხოლოდ ნახევარფინალში გაუჭირდა, სადაც ვერა ზვონარიოვამ თანაბარი ომი გაუმართა. თუმცა ელენამ უტეხ რუსს მაინც მოუნახა სუსტი წერტილი და ზესწრაფი ჩოგბურთით თეთრი დროშა გამოაფენინა.

ბევრის აზრით, იანკოვიჩს არანაკლები, შეიძლება უფრო დაძაბული ბატალიაც ელოდა ფინალში, სადაც კიდევ ერთ რუსს, თანაც ზვონარიოვაზე ძლიერ სვეტლანა კუზნეცოვას უნდა შეხვედროდა. თუმცა ელენას აქ ოდნავადაც არ გასჭირვებია — უკვე არავისთვის საიდუმლო აღარ არის, რომ კუზნეცოვა კარგად მხოლოდ ფინალამდე ირჯება, სატიტულო მატჩებში კი ბრინჯივით იბნევა ხოლმე. ახლაც ასე მოხდა და რუსმა ისღა შეძლო, რომ პირწმინდად განადგურებას გადაურჩა და რენომე ასე თუ ისე შეინარჩუნა.

**ქალები**
სეული. სამხრეთ კორეა. ჰარდი
საპრიზო 145 000 $

### ნახევარფინალი

**მარია კირილენკო (1, რუსეთი) — კაია კანეპი (3, ესტონეთი) 6:4 3:6 6:4; სამანტა სტოსური (ავსტრალია) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:0 6:1**

### ფინალი

**კირილენკო — სტოსური 2:6 6:1 6:4**

ერთი წლის წინ მარია კირილენკოს ერთი ნაბიჯილა დააკლდა სეულში გასამარჯვებლად. რუსმა მარშან ფინალში წააგო და სამხეთ კორეა არცთუ კარგ ხასიათზე დატოვა. თუმცა გუშინ 21 წლის მოსკოველმა მიზანი მაინც აისრულა და სეულის ტიტული მოიპოვა, როცა ფინალში საკმაოდ მძიმე შეხვედრაში სამანტა სტოსური დასცა.

კირილენკოსთვის ეს წლეულს მოგებული უკვე მესამე ტურნირია — მანამდე მან ბარსელონასა და ეშტორილშიც იმარჯვა.

**ბაჩა ლომაშვილი**





# ძველი მოზლის ერთი რაუნდი

**პროფესიულ** კრივში ბევრი ლაყბობით ვერავის გააკვირვებ. აქ პირი მოღებული აქვს ყველას — ნებისმიერი კალიბრის, წონის, სიდიდისა თუ სიძლიერის მორკივეს. სამწუხაროდ, ყოყლოჩინობა და მეტოქის წინასწარ შეურაცხყოფა ამ სპორტის განუყოფელ ნაწილად იქცა, რადგანაც ეს მხოლოდ სპორტი აღარ არის. ეს უკვე სანახაობაა, შოუა. ხოლო შოუ რომ კარგად გაიყიდოს, მისი რეკლამირებაა საჭირო და ამიტომაც ლაპარაკობს ყველა, ვისაც არ ეზარება.

მაგრამ მაინც ცოტა თუ მოიძებნება, ვინც უაზრო ლაყბობაში რიკარდო მაიორგას გაეჯიბრება. ამ ნიკარაგუელმა უკვე კარგა ხანია, დაიმკვიდრა ენატლიკინა მოკრივის სახელი — მისთვის მომავალი მეტოქისა და მისი ოჯახის შეურაცხყოფა გარკვეულწილად რიტუალადაც იქცა. და მიუხედავად იმისა, რომ მაიორგა საკმაოდ ტიტულიანია, მისი ლაპარაკის მოსმენა უკვე ბევრს აღარ შეუძლია. ის რინგზე ისეთივე აქტიურად რომ იქნევდეს ხელებს, როგორც საკუთარ ყბას ამუშავებს ხოლმე პრესკონფერენციებზე, კარგა ხანია, კრივის ლეგენდად იქცეოდა.

მაიორგამ თავის არცთუ სასიამოვნო ტრადიციას არც ახლა უღალატა და შეინ „შუგარ" მოზლისთან ბრძოლის წინ, რომელიც გასულ უქმეებზე კალიფორნიულ კარსონში გაიმართა, მეტოქე ყველანაირად აგინა:

„იმედი მაქვს, შეინი კაცივით იბრძოლებს და წინ და უკან სირბილს არ დაიწყებს, როგორც ეს ამ ბოლო დროს დასჩემდა. თუ მაინც არ მოიშალა, სპეციალურად მისთვის ვარდისფერი გორგოლაჭები მაქვს ნაყიდი და პირდაპირ რინგზე გადავცემ, რომ უფრო სხარტად დამისხლტეს ხოლმე ხელიდან".

მოკლედ, მაიორგამ ასეთები არ დააკლო მეტოქეს. სხვადასხვა წონაში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი მოზლი კი ნიკარაგუელის ლაქლაქს საკმაოდ მშვიდად შეხვდა და ბევრმაც იფიქრა, რომ ამერიკელი მეტოქეს პასუხს რინგზე გასცემდა.

ასე რომ, წესით, მაგარი ბრძოლა უნდა გვეხილა. მაგრამ მოკრივეებმა ყველას, პირველ რიგში კი ტრიბუნებზე შეკრებილ მაყურებელს იმედები გაუცრუეს, რადგანაც მთლიანობაში საკმაოდ პასიურად იჩხუბეს. განსაკუთრებით ეს მოზლის ეხება, რომელიც ფაქტობრივად მშობლიური ტრიბუნების წინ იბრძოდა და ვალდებული იყო, მეტი ეჩვენებინა.

ასეა თუ ისე, თავიდანვე საკმაოდ თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. მეტოქეები კი ცვლიდნენ ძლიერ დარტყმებს, მაგრამ არცთუ რეგულარულად, რის გამოც სერიოზული ზიანი არც ერთს არ მიუღია. მეექვსე რაუნდის შემდეგ კი მეტოქენი კლინჩში უფრო ხშირად შედიოდნენ, ვიდრე ერთმანეთს ურტყამდნენ და მაყურებელმაც სტვენა მორთო, რადგან ეს არ იყო ის, რის სანახავადაც მათ ფული გადაიხადეს.

რაც მთავარია, ეს არ იყო ის მოზლი, რომელიც ბოლო დეკადის კრივის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა. ეს არ იყო ის მოზლი, რომელმაც რინგზე უსწრაფესი მოძრაობითა და ზეაგრესიული ბრძოლის სტილით უამრავი თაყვანისმცემელი გაიჩინა. დაბოლოს, ეს არ იყო ის მოზლი, რომელმაც კარიერაში ორჯერ დამარცხა ოსკარ დე ლა ჰოია და ამდენჯერვე დაანოკაუტა ფერნანდო ვარგასი. თანაც, მოზლის დაღლა დაეტყო და მაშინ გამოჩნდა, რომ ის მართლაც 37 წლის ყოფილა...

თუმცა მოზლის არ ჰქონდა საკუთარი მაყურებლის ასე გაწბილების უფლება. მართალია, მას ფიზიკურად თითქოს აღარ შეეძლო, მაგრამ ძალიან უნდოდა გულშემატკივრის გახარება და მხოლოდ ამ მონდომებამ შეაძლებინა მე-12 სამწუთეულში შტურმზე გადასვლა. ამან შედეგი რაუნდის მიწურულს გამოიღო, როცა მოზლის უძლიერესი დარტყმების კომბინაციის — მარცხენა ჰუკი-აპერკოტი-მარჯვენა პირდაპირის შემდეგ მაიორგა რინგზე გაიშხლართა. ნიკარაგუელი მხოლოდ მერვე დათვლაზე ადგა, მაგრამ ბრძოლის ჩამთავრება მაინც არ დასცალდა და გონგის ჩამოკვრამდე ერთი წამით ადრე მოზლიმ ის კიდევ ერთხელ ჩააზუტა ფიცარნაგს. მაიორგას ეტყობოდა, რომ ათამდე კი არა, ას დათვლამდე არ იყო წამომდგომი და რეფერიმაც მოზლის ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა.

„მე მინდოდა, მაყურებლისთვის ის მეჩვენებინა, რაც მას სურდა — ნოკაუტი" — იტყვის ნამატჩევს მოზლი.

სამწუხარო ის არის, რომ მოზლიმ ეს მხოლოდ ერთ რაუნდში დაგვანახვა, მანამდე კი ის მთელი 12 სამწუთეულის განმავლობაში პასიური იყო.

მართლაც საწყენია, რადგანაც ნაკლებ სავარაუდოა, როდისმე კიდევ ვიხილოთ ძველი მოზლი.

**ბაჩა ლომაშვილი**

# ორი ხმალი ერთ ქარქაშში?
## მერქსს არმსტრონგის არ სჯერა


ალბერტო კონტადორს გასროლა ლენს არმსტრონგის გარეშე სწადია



**ლეგენდარული** ამერიკელის, 1999-2005 წლებში „ტურ დე-ფრანსის“ მიჯრით შვიდჯერ მომგები ლენს არმსტრონის გადაწყვეტილებამ, ოთხწლიანი შესვენების შემდეგ, მომავალ წელს აქტიური სპორტული კარიერა განაახლოს, ველოსამყაროში გვარიანი ალიაქოთი გამოიწვია და ეს, უპირველეს ყოვლისა, იმ ფაქტს უკავშირდება, რომ არმსტრონგი იუჰან ბრიუნელთან ბრუნდება, ბრიუნელი კი ყაზახური „ასტანას“ გენერალური მენეჯერია, სწორედ იმ გუნდის, რომლის ღირსებასაც თანამედროვე ველოპელოტონის ყველაზე გამორჩეული სახე, ორ წელიწადში სამივე უმთავრესი ველომარათონის („ტური“, „ჯირო“, „ვუელტა“) მომგები ესპანელი ალბერტო კონტადორი იცავს.

ბელგიელი ბრიუნელი ბოლო ათწლეულის ყველაზე წარმატებული მენეჯერია. მისი და არმსტრონგის თანამშრომლობა გასული საუკუნის მიწურულს, ამერიკულ ველოგუნდ US postal-ში დაიწყო. შემდეგ ამ გუნდს სპორსორი და, შესაბამისად, სახელი შეეცვალა და „დისქავერად“ გადაკეთდა, ხოლო, როდესაც შარშან ამ პოპულარულმა ტელეარხმა ველოგუნდის დაფინანსებაზე უარი თქვა, ბრიუნელი „ასტანაში“ გადაბარგდა და თან „დისქავერიში“ არმსტრონგის მემკვიდრედ ქცეული, შარშანდელი „ტურის“ მომგები კონტადორი და ამერიკელი ლევი ლეიფჰემერი წაიყვანა.

ბრიუნელ-კონტადორის წარმატებული თანამშრომლობა წლეულსაც გაგრძელდა და „ასტანასთან“ ერთად, „ტურიდან“ მოკვეთილმა ესპანელმა წყვილად მოიგო „ჯირო“ და „ვუელტა“. მაგრამ აი, არმსტრონგმა თქვა ვბრუნდებიო და ყველაფერი აირია. არმსტრონგი ბრუნდება, თანაც მხოლოდ და მხოლოდ „ასტანაში“ და, როგორც ყაზახეთის ველოფედერაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. არმსტრონგი ბრუნდება და თუ ვინ იქნება „ასტანას“ ლიდერი, უკვე ძნელი სათქმელია. ფაქტია — ამერიკელი გრეგარის ფუნქციებს არ დათანხმდება და „ტურის“ მერვედ მოგებას შეეცდება, მაგრამ არც კონტადორია ის კაცი, კუთვნილი პრივილეგიები იოლად დათმოს. თანაც, ალბერტო საკმაოდ ახალგაზრდაა საიმისოდ, თავისი ნიჭის პატრონმა არმსტრონგის რეკორდის დამხობაზე, ანუ „ტურის“ შვიდჯერ და მეტჯერ მოგებაზე რომ არ იფიქროს.

კონტადორი დარწმუნებულია და სრულიად სამართლიანადაც, რომ არმსტრონგს გუნდში მხოლოდ პირველი ნომრობა უნდა. „ბრიუნელს ველაპარაკე და მითხრა, რომ ვერავითარ პრობლემას ვერ ხედავს, გუნდის ლიდერი ისევ მე ვიქნები, მაგრამ ლენსი ის კაცი არ არის, პირველობაზე რომ არ იფიქროს. მეორე მხრივ, რაიმე დასამტკიცებელი აღარც მე მაქვს და თუ შექმნილი სიტუაცია არ მომეწონება, გუნდს შევიცვლი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები უახლოეს მომავალში — განაცხადა კონტადორმა და იქვე უკმაყოფილოდ დაამატა — ახლახან დასრულებულ „ვუელტაზეც“ არ იყო კარგი სიტუაცია. ლეიფჰემერი ჩემზე არ მუშაობდა. ეს არანორმალურია, როდესაც ის, ვინც შენ უნდა გეხმარებოდეს, თავად იბრძვის პირველობისთვის და გენერალურ კლასიფიკაციაში წუთზე ნაკლებით ჩამორჩება“.

როგორც ვხედავთ, კონტადორი „ასტანაში“ შექმნილი სიტუაციით დიდად ბედნიერი არ გახლავთ და ამ დროს არმსტრონგი იმედოვნებს, რომ ესპანელი გუნდში დარჩება. „ალბერტო დღესდღეობით მსოფლიოს საუკეთესო მრბოლია და არა მგონია, მასზე სწრაფი ვიყო“ — ბრძანა ამერიკელმა. მაგრამ, ალბერტოს თქმის არ იყოს, მაინც ძნელი წარმოსადგენია, რომ ამერიკელმა სხვაზე დაიწყოს მუშაობა.

ბოლოს კი ყველა დროის, ალბათ, უდიდეს მრბოლს, „ტურისა“ და „ჯიროს“ ხუთ-ხუთგზის მომგებს, „ვუელტას“ გამარჯვებულს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ბელგიელ ედი მერქსს მოვუსმინოთ. „კონტადორი მსოფლიოს საუკეთესო ველოსიპედისტია. თანაც, ის მხოლოდ 25 წლის გახლავთ და უამრავი გამოუყენებელი რეზერვი აქვს. მას წინ დიდი მომავალი ელის და თავისი გუნდის ნამდვილი ლიდერიც გახლავთ, მაგრამ ვნახოთ, რა მოხდება არმსტრონგის დაბრუნების შემდეგ. თუმცა, მე პირადად ეჭვი მეპარება, ლენსმა ძველ დონეზე რბოლა რომ შეძლოს, მაგრამ, მაინც...“ — ბრძანა დიდმა ბელგიელმა და მისი სიტყვებიდანაც კარგად ჩანს, რომ ერთ ქარქაშში ორი ხმალი არ ჩაეტევა. კონტადორისთვის ალბათ უმჯობესი იქნება, თუ ის „ასტანას“ დატოვებს.



# იტალიას ბალანი აეშალა

**იტალიელი** ალესანდრო ბალანის ტრიუმფით დასრულდა 2008 წლის ველოსეზონი. ბალანის სამშობლოში, კერძოდ კი ტოსკანაში, ქალაქ ვარეზეს შემოგარენში გასული კვირა სეზონის ბოლო დიდ შეჯიბრს, მსოფლიოს ჩემპიონატს დაეთმო და ამ ტურნირის უმთავრესი, კაცთა ჯგუფური რბოლა, სწორედ ბალანმა მოიგო.

უფრო დეტალურად გასული მსოფლიო პირველობის შესახებ „სარბიელის“ ხვალინდელ ნომერში ვისაუბრებთ, დღეს კი ორიოდ სიტყვით ნახსენები ჯგუფური რბოლის შესახებ მოგახსენებთ.

იტალიელები თავიდანვე გეგმავდნენ ამ რბოლაში პირველობას, თუმც უნდა ითქვას, რომ ისინი აქცენტს პაოლო ბეტინიზე აკეთებდნენ. ბეტინი მსოფლიოს შარშანწინდელი და შარშანდელი ჩემპიონია და მას უზარმაზარი სურვილი ჰქონდა, გამხდარიყო ისტორიაში პირველი მრბოლი, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატს ზედიზედ სამჯერ მოიგებდა.

ვერ შეძლო ბეტინიმ ამის გაკეთება. იტალიელებმა გვარიანად იმუშავეს საამისოდ, მაგრამ ბოლო წრისთვის ვეტერანს ჯანი აღარ ეყო და იმ ჯგუფს ჩამორჩა, რომელშიც მის გარდა თითქმის ყველა აპენინელი იყო — ბალანი, დამიანო კუნეგო და დავიდ რებელინი.

ბოლოსკენ ყველაზე მეტად, სწორედ რებელინი აქტიურობდა და სწორედ მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მასპინძლებმა შეძლეს უმთავრესი კონკურენტების, ესპანელების ჩამოშორება. სულ ბოლო აღმართის მიწურულს კი შეტევაზე ბალანი გადავიდა და 260 კილომეტრიანი გზის ფინიშზე, ტრასაზე გამოფენილი ასიათასობით ტიფოსის გასახარად, სწორედ მან მიაღწია პირველმა. მეორე ბალანის თანამემამულე დამიანო კუნეგო იყო და იტალიელთა სრულ ტრიუმფს ხელი დანიელმა მატი ბრეშელმა შეუშალა, რომელმაც რებელინი მეოთხე ადგილზე დატოვა.

# ფრენკ შლეკს პოლიცია მესტუმრა



**შაბათს**, ანუ გუშინ ვარეზეში დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის უმთავრესი, კაცთა ჯგუფური რბოლის წინა დღეს, პოლიციამ რვასაათიანი ჩხრეკა ჩაატარა იმ სასტუმროში, სადაც ლუქსემბურგის ნაკრები იყო დაბინავებული. კარაბინერები თანამედროვე ველოპელოტონის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მრბოლის, ფრენკ შლეკის პერსონით დაინტერესდნენ და ამის მიზეზი ის ინფორმაცია იყო, რომლის თანახმადაც, ძმები შლეკებიდან უფროსი ლუქსემბურგის ანტისადოპინგო სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდა და ამ შეხვედრაზე, თითქოსდა, ფრენკ შლეკის სკანდალურად ცნობილ ესპანელ ექიმ ფუენტესთან ურთიერთობაზე იყო ლაპარაკი.

„შემიძლია გითხრათ, რომ არასოდეს მიმიღია დოპინგი და არც ვაპირებ აკრძალული პრეპარატებით სარგებლობას. მთელი ჩემი კარიერა სუფთაა, ხოლო, რაც შეეხება ანტისადოპინგო სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვედრას, ასეთი რამ მართლაც მოხდა და თუ რა იყო ამის მიზეზი, მოგვიანებით გეტყვით“ — განუცხადა ფრენკ შლეკმა ჟურნალისტებს.

შეგახსენებთ, რომ ძმები ფრენკ და ენდი შლეკები დანიური CSC-ის წევრები არიან და მათ უზარმაზარი წვლილი მიუძღვით თავიანთი ესპანელი თანაგუნდელის, კარლოს სასტრეს მიერ წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ მოგებაში.

CSC-ის სპორტულმა დირექტორმა, წარსულში ცნობილმა მრბოლმა ბიარნე რიისმა, აგრეთვე უარყო ფრენკ შლეკის მიერ დოპინგის შესაძლო გამოყენების ფაქტი და განაცხადა, რომ ლუქსემბურგელი მრბოლი აბსოლუტურად სუფთაა.

# სინგაპურის ღამე, პიკეს ავარია, მასას შლანგი და ალონსოოო!

1950 **წლის** 13 მაისს ინგლისში, სილვერსტოუნის ლეგენდარულ ავტოდრომზე დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზით საფუძველი ჩაეყარა ფორმულა 1-ის სამყაროს. თითქმის სამოცი წელი გავიდა მას შემდეგ და გუშინ კი „სამეფო მრბოლებმა" საიუბილეო, მე-800 დიდი პრიზი გაითამაშეს.

ეს აზიაში, სინგაპურში მოხდა და გუშინდელი რბოლა იმითაც იყო აღსანიშნავია, რომ სინგაპურის ქუჩები ისტორიაში პირველად მასპინძლობდნენ საპირველფორმულო შეჯიბრს და თანაც, ასევე ისტორიაში პირველად, ეს შეჯიბრი ღამით, ხელოვნური განათების ფონზე ჩატარდა.

იქიდან გამომდინარე, რომ სინგაპურის ქუჩები მრბოლებისთვის უცხო იყო, თანაც, ზოგადად, საქალაქო რბოლებისას გასწრება ისედაც ძნელია (რაც ვალენსიაში გამართულმა ევროპის დიდმა პრიზმაც დაადასტურა, მონტე-კარლოს ლეგენდარულ ქუჩებზე რომ არაფერი ვთქვათ) და უცხო, ღამის განათების ფაქტორსაც ნუ დავივიწყებთ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კვალიფიკაციაში ნაჩვენებ შედეგს. ამ საქმეში კი ყველას „ფერარის" ბრაზილიელმა პილოტმა ფელიპე მასამ აჯობა, რომელმაც მისი სარბოლო ინჟინრის, რობ სმედლის სიტყვებით რომ ვთქვათ, კვალიფიკაციის დასკვნით, მესამე სესიის მიწურულს ფანტასტიკური წრე დაარტყა და ჩემპიონატის ლიდერი, „მაკლარენ-მერსედესის" ინგლისელი მრბოლი ლუის ჰემილტონი მეორე ადგილზე დატოვა.

„ფანტასტიკური" — ეს სიტყვა თავად მასამაც არაერთხელ გაიმეორა კვალიფიკაციის შემდგომ პრესკონფერენციაზე: „ფანტასტიკური წრე იყო ფანტასტიკური მანქანით. შესაძლოა, ამ სეზონში ეს ჩემი საუკეთესო კვალიფიკაცია იყო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სტრატეგია საწვავთან დაკავშირებით ძალიან კონკურენტუნარიანია და ეს რბოლის დროსაც უნდა გამოჩნდეს. კონფიგურაციის თვალსაზრისით საკმაოდ რთული ტრასაა და შეცდომის დაშვებას არ გაპატიებს".

უკმაყოფილო, არც მასას ფინელი თანაგუნდელი, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი კიმი რაიკონენი იყო თავისი მესამე შედეგით. „კარგი დღე იყო. ეს ტრასა უაღრესად მომთხოვნია და მოდუნებას არ გაპატიებს. საფუძველი გვაქვს, რომ ხვალისთვის კარგი შედეგი დავდეგმოთ" — განაცხადა კიმიმ.

მასას, ჰემილტონსა და რაიკონენის შემდეგ სასტარტო რიგში „BMW-ზაუბერის" რობერტ კუბიცა, ჰემილტონის თანაგუნდელი ჰეიკი კოვალაინენი და კუბიცას თანაგუნდელი ნიკ ჰაიდფელდი განლაგდნენ, მაგრამ მოგვიანებით რბოლის სტიუარდებმა ჰეიდფელდი სამი პოზიციით დააჯარიმეს, აქაოდა რუბენს ბარიკელოს სწრაფი წრის გავლისას პრობლემები შეუქმნაო, შესაბამისად, მეექვსეზე წინა, იტალიური ეტაპის გმირმა სებასტიენ ფეტელმა გადაინაცვლა, მეშვიდეზე და მერვეზე კი ტიმო გლოკმა და ნიკო როსბერგმა აიწიეს.

...მე-14 წრეზე „რენოს" ბრაზილიელი ნელსონ პიკე ჯებირს რომ არ შეჯახებოდა, იქნებ არც არაფერი მომხდარიყო და პიკეს თანამემამულეს, „ფერარელ" ფელიპე მასას უპრობლემოდ მოეგო ისტორიაში პირველი ღამის რბოლა.

მასამ კვალიფიკაციის პირველი ადგილი სტარტზეც კომფორტულად შეინარჩუნა და ნელ-ნელა დაიწყო უპირატესობის გაზრდა, მაგრამ შემდეგ ნახსენები ავარია მოხდა, ტრასაზე პეის-კარი გამოჩნდა და ყველაფერი აირია.

თავიდან გუნდებს, როგორც ჩანს, სამ-სამ-პიტ-სტოპიანი სტრატეგია ჰქონდათ არჩეული, ნელსინიოს ავარიის შემდეგ კი კოშმარი დაიწყო და ამ კოშმარის პიკად ბოქსებში მასას შესვლა იქცა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ბრაზილიელი რომ დაიძრა, საწვავის ჩასასხმელი შლანგი თან გაიყოლა, ამ შლანგს „ფერარის" ერთ-ერთი მოსამსახურე კინაღამ ემსხვერპლა და ფინიში კი ასეთი იყო — მანქანაში ჩარჩენილი შლანგი გაწყდა და ის მასას „ფერარიდან" კარგა ხნის შემდეგლა ამოაძრეს.

ფელიპე, რომელმაც ამ თავისი ინციდენტის გამო ლუის ჰემილტონიც შეაფერხა, კარგა ხნით გაჩერდა და პირველიდან ბოლო ადგილზე გადავარდა.

...სენას ავარიამ კვალიფიკაცია თავდაყირა დააყენა. ყველაფერი აირია და შემდეგ, მორიგი, უკვე გეგმიური პიტ-სტოპების შემდეგ თავში ფერნანდო ალონსო აღმოჩნდა. მერე, ადრიან სუტილის ავარიის შემდეგ ალონსოს უპირატესობაც ნულამდე დავიდა, მაგრამ ორგზის ჩემპიონმა მაინც შეინარჩუნა პირველობა და სეზონში პირველი, მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

სენას ავარიის, მასას ინციდენტისა და სუტილის ჯებირზე ჩახუტების შემდეგ იმავე ჯებირს კიმი რაიკონენიც შეეჯახა და „ფერარი" საერთოდ უქულოდ დარჩა. შედეგად, გუნდურ ჩათვლაში „სკუდერიას" „მაკლარენმა" ერთი ქულით გადაასწრო და რაც მთავარია, გენერალურ კლასიფიკაცაში ჰემილტონი, რომელმაც ლამის სინგაპურში მესამე ადგილი დაიკავა, შვიდი ქულით გაიჭრა წინ.

ჩემპიონატის ფინიშამდე კი სამი ეტაპიღა დარჩა — იაპონური, ჩინური და ბრაზილიური. ოღონდაც, ყველაფერი დღისით იქნება.

**ბაჩა ლომაძე**




## ფორმულა 1. 59-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთხუთმეტე ეტაპი

### რბოლის შედეგები

**სინგაპურის დიდი პრიზი**
**28 სექტემბერი. სინგაპური**
დისტანცია 61 წრე — 309,087 კმ

| | |
|---|---|
| 1(15). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო") | 1სთ 57წთ 16,304წმ (საშ. სიჩქარე 158,138 კმ/სთ) |
| 2(8). ნიკო როსბერგი (გერმანია, „უილიამს-ტოიოტა") | +2,9 წმ |
| 3(2). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მაკლარენ-მერსედესი") | +5,9 |
| 4(8). ტიმო გლოკი (გერმანია, „ტოიოტა") | +8,1 |
| 5(7). სებასტიან ფეტელი (გერმანია, „ტორო როსო-ფერარი") | +10,2 |
| 6(9). ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, „BMW-ზაუბერი") | +11,1 |
| 7(14). დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, „რედ ბული-რენო") | +16,3 |
| 8(10). კაძუკი ნაკაჯიმა (იაპონია, „უილიამს-ტოიოტა") | +18,4 |
| 9(12). ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, „ჰონდა") | +19,8 |
| 10(5). ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, „მაკლარენ-მერსედესი) | +26,9 |
| 11(4). რობერტ კუბიცა (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი") | +27,9 |
| 12(17). სებასტიენ ბურდე (საფრანგეთი, „ტორო როსო-ფერარი") | +29,4 |
| 13(1). ფელიპე მასა (ბრაზილია, „ფერარი") | +35,1 |
| 14(20). ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, „ფორს ინდია-ფერარი") | +43,5 |
| **რბოლას გამოეთიშნენ** | |
| 15(3). კიმი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი") | გაიარა 57 წრე |
| 16(11). იარნო ტრული (იტალია, „ტოიოტა") | 50 |
| 17(19). ადრიან სუტილი (გერმანია, „ფორს ინდია-ფერარი") | 49 |
| 18(13). მარკ ვებერი (ავსტრალია, „რედ ბული-რენო") | 29 |
| 19(18). რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „ჰონდა") | 14 |
| 20(16). ნელსონ პიკე (ბრაზილია, „რენო") | 13 |

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

| პოული | |
|---|---|
| *მასა* | 1წთ 44,801 წმ (საშ. სიჩქარე 174,055 კმ/სთ) |

| საუკეთესო წრე | |
|---|---|
| *რაიკონენი* | 1 წთ 45,599 წმ (საშ. სიჩქარე 172,740 კმ/სთ) |

| Formula 1 | ავსტრალია 16 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბაჰრეინი 6 აპრილი | ესპანეთი 27 აპრილი | თურქეთი 11 მაისი | მონაკო 25 მაისი | კანადა 8 ივნისი | საფრანგეთი 22 ივნისი | ბრიტანეთი 6 ივლისი | გერმანია 20 ივლისი | უნგრეთი 3 აგვისტო | ევროპა 24 აგვისტო | ბელგია 7 სექტემბერი | იტალია 14 სექტემბერი | სინგაპური 28 სექტემბერი | იაპონია 12 ოქტომბერი | ჩინეთი 19 ოქტომბერი | ბრაზილია 2 ნოემბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰემილტონი | 10 | 4 | — | 6 | 8 | 10 | — | — | 10 | 10 | 4 | 8 | 6 | 2 | 6 | | | | 84 |
| 2 მასა | — | — | 10 | 8 | 10 | 6 | 4 | 10 | — | 6 | — | 10 | 10 | 3 | — | | | | 77 |
| 3 კუბიცა | — | 8 | 6 | 5 | 5 | 8 | 10 | 4 | — | 2 | 1 | 6 | 3 | 6 | — | | | | 64 |
| 4 რაიკონენი | 1 | 10 | 8 | 10 | 6 | — | — | 8 | 5 | 3 | 6 | — | — | — | — | | | | 57 |
| 5 ჰაიდფელდი | 8 | 3 | 5 | — | 4 | — | 8 | — | 8 | 5 | — | — | 8 | 4 | 3 | | | | 56 |
| 6 კოვალაინენი | 4 | 6 | 4 | — | — | 1 | — | 5 | 4 | 4 | 10 | 5 | — | 8 | — | | | | 51 |
| 7 ალონსო | 5 | 1 | — | — | 3 | — | — | 1 | 3 | — | 5 | — | 5 | 5 | 10 | | | | 38 |
| 8 ფეტელი | — | — | — | — | — | 4 | 1 | — | — | 1 | — | 3 | 4 | 10 | 4 | | | | 27 |
| 9. ტრული | — | 5 | 3 | 1 | — | — | 3 | 6 | 2 | — | 2 | 4 | — | — | — | | | | 26 |
| 10 გლოკი | — | — | — | — | — | — | 5 | — | — | — | 8 | 2 | — | — | 5 | | | | 20 |
| *ვებერი — 19, როსბერგი — 17, პიკე — 13, ბარიკელო — 11, ნაკაჯიმა — 9, კულტჰარდი — 8, ბურდე — 4, ბატონი — 3 ქულა* | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 მაკლარენი | 14 | 10 | 4 | 6 | 8 | 11 | — | 5 | 14 | 14 | 14 | 13 | 6 | 10 | 6 | | | | 135 |
| 2 ფერარი | 1 | 10 | 18 | 18 | 16 | 6 | 4 | 18 | 5 | 9 | 6 | 10 | 10 | 3 | — | | | | 134 |
| 3 BMW | 8 | 11 | 11 | 5 | 9 | 8 | 18 | 4 | 8 | 7 | 1 | 6 | 11 | 10 | 3 | | | | 120 |
| 4 რენო | 5 | 1 | — | — | 3 | — | — | 3 | 3 | 8 | 8 | — | 5 | 5 | 10 | | | | 51 |
| 5 ტოიოტა | — | 5 | 3 | 1 | — | — | 8 | 6 | 2 | — | 10 | 6 | — | — | 5 | | | | 46 |
| *ტორო როსო — 31, რედ ბული — 28, უილიამსი — 26, ჰონდა — 14 ქულა* | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. კონფერენცია, 29 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 194 | რაშდენი-ალტრინხემი | 1.55 | 3.80 | 6.00 | 1.10 | 1.23 | 2.32 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა, 29 სექტემბერი | | | | | | |
| 22:10 | 377 | შაფჰაუზენი-სტ.გალენი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| | | იტალია. სერია B, 29 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 400 | ფროზინონე-ანკონა | 1.95 | 3.00 | 4.30 | 1.18 | 1.34 | 1.76 |
| 23:00 | 401 | ბრეშა-პარმა | 2.35 | 2.80 | 3.15 | 1.27 | 1.34 | 1.48 |
| | | ბელგია. I დივიზიონი, 29 სექტემბერი | | | | | | |
| 22:30 | 534 | მეხელენი-ლოკერენი | 1.90 | 3.30 | 3.85 | 1.20 | 1.27 | 1.77 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა, 29 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 576 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 2.00 | 3.30 | 3.80 | 1.24 | 1.31 | 1.76 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა, 29 სექტემბერი | | | | | | |
| 19:15 | 641 | ლიბერეცი-სპარტა | 3.50 | 2.90 | 2.20 | 1.58 | 1.35 | 1.25 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა, 29 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 689 | სტაბეკი-მოლდე | 1.40 | 4.50 | 7.50 | 1.06 | 1.17 | 2.81 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა, 29 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 705 | იორებრო-ნორჩოპინგი | 1.75 | 3.40 | 4.55 | 1.15 | 1.26 | 1.94 |
| 21:00 | 706 | სუნდსვალი-გოტებორგი | 3.30 | 3.20 | 2.20 | 1.62 | 1.32 | 1.30 |
| | | შვედეთი. სუპერეტა, 29 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 714 | ენჩოპინგი-ბუნკეფლო | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 21:00 | 715 | ლანდსკრონა-მიალბი | 2.45 | 3.20 | 2.85 | 1.38 | 1.31 | 1.50 |
| 21:00 | 716 | ქვიდინგე-იორგრიტე | 3.65 | 3.20 | 1.85 | 1.70 | 1.22 | 1.17 |
| | | უეფა. ჩემპიონთა ლიგა, 30 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 50 | ოლბორგი-მანჩესტერი | 8.50 | 4.00 | 1.40 | 2.72 | 1.20 | 1.03 |
| 22:45 | 52 | ვილიარეალი-სელტიკი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 22:45 | 54 | ფიორენტინა-სტიაუა | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 22:45 | 56 | ბაიერნი-ლიონი | 1.80 | 3.35 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.82 |
| 22:45 | 58 | არსენალი-პორტუ | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 22:45 | 61 | ბატე-იუვენტუსი | 8.00 | 4.00 | 1.40 | 2.66 | 1.19 | 1.03 |
| 22:45 | 63 | ზენიტი-რეალი | 2.90 | 3.10 | 2.40 | 1.49 | 1.31 | 1.35 |
| | | 1 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 64 | ატლეტიკო-მარსელი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 22:45 | 66 | ბორდო-რომა | 2.90 | 3.10 | 2.40 | 1.49 | 1.31 | 1.35 |
| 22:45 | 67 | კლუჟი-ჩელსი | 7.00 | 3.80 | 1.45 | 2.46 | 1.20 | 1.04 |
| 22:45 | 69 | ანორთოსისი-პანათინაიკოსი | 3.00 | 3.10 | 2.30 | 1.52 | 1.30 | 1.32 |
| 22:45 | 70 | ინტერი-ვერდერი | 1.50 | 3.80 | 5.80 | 1.07 | 1.19 | 2.29 |
| 22:45 | 72 | სპორტინგი-ბაზელი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 22:45 | 74 | შახტარი-ბარსელონა | 4.20 | 3.50 | 1.75 | 1.90 | 1.23 | 1.16 |
| 22:45 | 76 | ლივერპული-პსვ | 1.45 | 3.80 | 8.00 | 1.04 | 1.22 | 2.57 |
| | | ფუტზალი მსოფლიო ჩემპიონატი (ბრაზილია), 30 სექტემბერი | | | | | | |
| 16:30 | 1003 | ბრაზილია-იაპონია | 1.01 | 12.00 | 14.00 | 1.00 | 1.00 | 6.46 |
| 16:30 | 1005 | იტალია-ტაილანდი | 1.05 | 10.00 | 11.00 | 1.00 | 1.00 | 5.23 |
| 16:30 | 1007 | კუბა-სოლომ. კუნძ. | 1.05 | 10.00 | 11.00 | 1.00 | 1.00 | 5.23 |
| | | 1 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:30 | 1010 | უკრაინა-გვატემალა | 1.45 | 4.50 | 4.50 | 1.09 | 1.09 | 2.25 |
| 16:30 | 1012 | ესპანეთი-ირანი | 1.05 | 10.00 | 11.00 | 1.00 | 1.00 | 5.23 |
| 18:30 | 1014 | არგენტინა-ჩინეთი | 1.15 | 7.50 | 7.50 | 1.00 | 1.00 | 3.75 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10400 | ფროზინონე-ანკონა | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10401 | ბრეშა-პარმა | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10534 | მეხელენი-ლოკერენი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10576 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10689 | სტაბეკი-მოლდე | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10705 | იორებრო-ნორჩოპინგი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10706 | სუნდსვალი-გოტებორგი | 3.70 | 2.00 | 2.40 | 1.29 | 1.45 | 1.09 |
| 10050 | ოლბორგი-მანჩესტერი | 7.50 | 2.60 | 1.55 | 1.93 | 1.28 | 1.00 |
| 10052 | ვილიარეალი-სელტიკი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10054 | ფიორენტინა-სტიაუა | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10056 | ბაიერნი-ლიონი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10058 | არსენალი-პორტუ | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10061 | ბატე-იუვენტუსი | 7.00 | 2.50 | 1.55 | 1.84 | 1.26 | 1.00 |
| 10063 | ზენიტი-რეალი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10064 | ატლეტიკო-მარსელი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10066 | ბორდო-რომა | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10067 | კლუჟი-ჩელსი | 5.80 | 2.10 | 1.75 | 1.54 | 1.34 | 1.00 |
| 10069 | ანორთოსისი-პანათინაიკოსი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10070 | ინტერი-ვერდერი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10072 | სპორტინგი-ბაზელი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10074 | შახტარი-ბარსელონა | 4.60 | 2.10 | 2.15 | 1.44 | 1.46 | 1.06 |
| 10076 | ლივერპული-პსვ | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11400 | ფროზინონე-ანკონა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11401 | ბრეშა-პარმა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11534 | მეხელენი-ლოკერენი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11576 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11689 | სტაბეკი-მოლდე | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11705 | იორებრო-ნორჩოპინგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11706 | სუნდსვალი-გოტებორგი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11050 | ოლბორგი-მანჩესტერი | 11.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.75 |
| 11052 | ვილიარეალი-სელტიკი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11054 | ფიორენტინა-სტიაუა | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11056 | ბაიერნი-ლიონი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11058 | არსენალი-პორტუ | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11061 | ბატე-იუვენტუსი | 10.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.90 |
| 11063 | ზენიტი-რეალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11064 | ატლეტიკო-მარსელი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11066 | ბორდო-რომა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11067 | კლუჟი-ჩელსი | 8.50 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |
| 11069 | ანორთოსისი-პანათინაიკოსი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11070 | ინტერი-ვერდერი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11072 | სპორტინგი-ბაზელი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11074 | შახტარი-ბარსელონა | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11076 | ლივერპული-პსვ | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15400 | ფროზინონე-ანკონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15401 | ბრეშა-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15534 | მეხელენი-ლოკერენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15576 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15689 | სტაბეკი-მოლდე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15705 | იორებრო-ნორჩოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15706 | სუნდსვალი-გოტებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15050 | ოლბორგი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | ვილიარეალი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | ფიორენტინა-სტიაუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15056 | ბაიერნი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15058 | არსენალი-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15061 | ბატე-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15063 | ზენიტი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15064 | ატლეტიკო-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15066 | ბორდო-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15067 | კლუჟი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15069 | ანორთოსისი-პანათინაიკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15070 | ინტერი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | სპორტინგი-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | შახტარი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | ლივერპული-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16400 | ფროზინონე-ანკონა | 1.38 | 2.65 |
| 16401 | ბრეშა-პარმა | 1.65 | 2.05 |
| 16534 | მეხელენი-ლოკერენი | 1.34 | 2.80 |
| 16576 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 1.40 | 2.55 |
| 16689 | სტაბეკი-მოლდე | 1.11 | 5.70 |
| 16705 | იორებრო-ნორჩოპინგი | 1.25 | 3.40 |
| 16706 | სუნდსვალი-გოტებორგი | 2.30 | 1.48 |
| 16050 | ოლბორგი-მანჩესტერი | 5.70 | 1.11 |
| 16052 | ვილიარეალი-სელტიკი | 1.14 | 4.70 |
| 16054 | ფიორენტინა-სტიაუა | 1.14 | 4.70 |
| 16056 | ბაიერნი-ლიონი | 1.30 | 3.00 |
| 16058 | არსენალი-პორტუ | 1.14 | 4.70 |
| 16061 | ბატე-იუვენტუსი | 5.70 | 1.11 |
| 16063 | ზენიტი-რეალი | 2.05 | 1.65 |
| 16064 | ატლეტიკო-მარსელი | 1.22 | 3.40 |
| 16066 | ბორდო-რომა | 2.05 | 1.65 |
| 16067 | კლუჟი-ჩელსი | 4.20 | 1.15 |
| 16069 | ანორთოსისი-პანათინაიკოსი | 2.10 | 1.60 |
| 16070 | ინტერი-ვერდერი | 1.14 | 4.70 |
| 16072 | სპორტინგი-ბაზელი | 1.17 | 4.10 |
| 16074 | შახტარი-ბარსელონა | 2.90 | 1.32 |
| 16076 | ლივერპული-პსვ | 1.12 | 4.60 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14400 | ფროზინონე-ანკონა | 1.70 | 2.20 |
| 14401 | ბრეშა-პარმა | 1.80 | 2.00 |
| 14534 | მეხელენი-ლოკერენი | 1.70 | 2.20 |
| 14576 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 1.70 | 2.20 |
| 14689 | სტაბეკი-მოლდე | 1.20 | 2.60 |
| 14705 | იორებრო-ნორჩოპინგი | 1.45 | 2.40 |
| 14706 | სუნდსვალი-გოტებორგი | 2.00 | 1.80 |
| 14050 | ოლბორგი-მანჩესტერი | 2.60 | 1.20 |
| 14052 | ვილიარეალი-სელტიკი | 1.30 | 2.50 |
| 14054 | ფიორენტინა-სტიაუა | 1.30 | 2.50 |
| 14056 | ბაიერნი-ლიონი | 1.65 | 2.30 |
| 14058 | არსენალი-პორტუ | 1.30 | 2.50 |
| 14061 | ბატე-იუვენტუსი | 2.60 | 1.20 |
| 14063 | ზენიტი-რეალი | 1.95 | 1.85 |
| 14064 | ატლეტიკო-მარსელი | 1.30 | 2.50 |
| 14066 | ბორდო-რომა | 1.95 | 1.85 |
| 14067 | კლუჟი-ჩელსი | 2.60 | 1.20 |
| 14069 | ანორთოსისი-პანათინაიკოსი | 2.00 | 1.80 |
| 14070 | ინტერი-ვერდერი | 1.30 | 2.50 |
| 14072 | სპორტინგი-ბაზელი | 1.30 | 2.50 |
| 14074 | შახტარი-ბარსელონა | 2.40 | 1.45 |
| 14076 | ლივერპული-პსვ | 1.20 | 2.60 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)

(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | ნაკ. | მეტ. | 5და მეტ |
|---|---|---|---|---|---|
| 12400 | ფროზინონე-ანკონა | 2.5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12401 | ბრეშა-პარმა | 2.5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12534 | მეხელენი-ლოკერენი | 2.5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12576 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 2.5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12689 | სტაბეკი-მოლდე | 2.5 | 2.20 | 1.50 | 4.50 |
| 12705 | იორებრო-ნორჩოპინგი | 2.5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12706 | სუნდსვალი-გოტებორგი | 2.5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12050 | ოლბორგი-მანჩესტერი | 2.5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| 12052 | ვილიარეალი-სელტიკი | 2.5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12054 | ფიორენტინა-სტიაუა | 2.5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12056 | ბაიერნი-ლიონი | 2.5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12058 | არსენალი-პორტუ | 2.5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12061 | ბატე-იუვენტუსი | 2.5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12063 | ზენიტი-რეალი | 2.5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12064 | ატლეტიკო-მარსელი | 2.5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12066 | ბორდო-რომა | 2.5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12067 | კლუჟი-ჩელსი | 2.5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12069 | ანორთოსისი-პანათინაიკოსი | 2.5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12070 | ინტერი-ვერდერი | 2.5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12072 | სპორტინგი-ბაზელი | 2.5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12074 | შახტარი-ბარსელონა | 2.5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12076 | ლივერპული-პსვ | 2.5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13400 | ფროზინონე-ანკონა | 1.90 | 1.70 |
| 13401 | ბრეშა-პარმა | 1.80 | 1.80 |
| 13534 | მეხელენი-ლოკერენი | 1.70 | 1.90 |
| 13576 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 1.70 | 1.90 |
| 13689 | სტაბეკი-მოლდე | 1.70 | 1.90 |
| 13705 | იორებრო-ნორჩოპინგი | 1.60 | 2.00 |
| 13706 | სუნდსვალი-გოტებორგი | 1.70 | 1.90 |
| 13050 | ოლბორგი-მანჩესტერი | 1.90 | 1.70 |
| 13052 | ვილიარეალი-სელტიკი | 1.70 | 1.90 |
| 13054 | ფიორენტინა-სტიაუა | 1.70 | 1.90 |
| 13056 | ბაიერნი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13058 | არსენალი-პორტუ | 1.90 | 1.70 |
| 13061 | ბატე-იუვენტუსი | 1.90 | 1.70 |
| 13063 | ზენიტი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13064 | ატლეტიკო-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 13066 | ბორდო-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13067 | კლუჟი-ჩელსი | 1.90 | 1.60 |
| 13069 | ანორთოსისი-პანათინაიკოსი | 1.70 | 1.90 |
| 13070 | ინტერი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13072 | სპორტინგი-ბაზელი | 1.60 | 1.95 |
| 13074 | შახტარი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13076 | ლივერპული-პსვ | 1.90 | 1.70 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2

(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17400 | ფროზინონე-ანკონა | 1.85 | 1.95 |
| 17401 | ბრეშა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17534 | მეხელენი-ლოკერენი | 1.85 | 1.95 |
| 17576 | ბელენენსეში-ლეიშოეში | 1.85 | 1.95 |
| 17689 | სტაბეკი-მოლდე | 1.85 | 1.95 |
| 17705 | იორებრო-ნორჩოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17706 | სუნდსვალი-გოტებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17050 | ოლბორგი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | ვილიარეალი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17054 | ფიორენტინა-სტიაუა | 1.85 | 1.95 |
| 17056 | ბაიერნი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17058 | არსენალი-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17061 | ბატე-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17063 | ზენიტი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17064 | ატლეტიკო-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17066 | ბორდო-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17067 | კლუჟი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17069 | ანორთოსისი-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17070 | ინტერი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | სპორტინგი-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17074 | შახტარი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17076 | ლივერპული-პსვ | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ეშლის აუუუუ!-ქციონი



**„ნიუკასლ იუნაიტედის"** პატრონი, შეიძლება, ხუთ კვირაში შეიცვალოს — გამოჩნდა სამხრეთაფრიკული კონსორციუმი, რომელიც უარს არაა, მაიკ ეშლისგან „კაჭკაჭები" იყიდოს. თან, რაც ეშლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ეს ბიზნესჯგუფი სწორადაც „სპეკულაციური" თასის გადახდაზეა თანახმა — საუბარია 350 მილიონზე, რომელიც ინგლისელ ბიზნესმენს თავისთვის მონდომებია.

ეგ კიდევ რაა, ეშლის კოჭი შეიძლება ისეთ ალჩუზე დაუჯდეს, რომ მისი შურით მსოფლიოს ბიზნესმენთა უმრავლესობა უბრალოდ გასკდეს — სამხრეთაფრიკულის გარდა, გამოჩნდა ნიგერიული კონსორციუმიც, რომელმაც პარასკევს თავისი განაცხადი შეიტანა „ნიუკასლ იუნაიტედის" ყიდვაზე. თუმცა, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, ფავორიტი მაინც ინგლისური საძირკვლის მქონე სამხრეთაფრიკული ორგანიზაციაა. ბოლოს და ბოლოს, ის ნიგერიულზე უფრო ცნობილი ბრენდია და განშტოებებიც გააჩნია.

სამხრეთაფრიკული კონსორციუმის პრესმდივანმა განაცხადა:

„ჩვენი განზრახვა აბსოლუტურად სერიოზულია. გვწამს, „ნიუკასლ იუნაიტედი" ისტორიული კლუბია, რომელიც პროფესიულ გაძღოლას იმსახურებს".

ამასობაში კი, მშობლიურ „სენტ ჯეიმს პარკზე" „კაჭკაჭებმა" ზედიზედ მეხუთე მარცხი განიცადეს, ამჯერად „ბლექბერნისგან" — 1:2. ეშლი, რომელსაც კლუბზე უკვე გული აქვს აცრუებული, მატჩს არ ესწრებოდა.

**პაპუნა ქედია**

# კიდევ გიგზი



**გასაკვირი** რა არის, იცით? ის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" რაიან გიგზთან კონტრაქტის განახლებაზე მოლაპარაკებას იწყებს. დიახ, „წითლებს" თავიანთი ვეტერანთ ვეტერან უელსელთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება უნდათ, რათა ის „ოლდ ტრეფორდზე" 2009-2010 წლების სეზონის ბოლომდე დატოვონ. აი, შემდეგ კი, როგორც ამბობენ, კარიერას, რომლის განმავლობაშიც გიგზმა „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში სარეკორდო რაოდენობის მატჩები ჩაატარა და ინგლისური საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე წარმატებული ფეხბურთელის სახელი მოიპოვა, ფინალური ფარდა დაფარავს.

მაგრამ... როდესაც გიგზისა და „იუნაიტედის" ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, „მაგრამ" ყოველთვის არის! ფეხბურთელობისთვის თავის დანებება უელსელის „ოლდ ტრეფორდიდან" წასვლას სულაც არ ნიშნავს. მანჩესტერში ეჭვი არავის ეპარება, რომ 2010 წელს გიგზს გუნდის მწვრთნელთა შტაბში თანამდებობას შესთავაზებენ.

რაიან გიგზი ოქტომბერში 35 წლისა გახდება, მაგრამ სერ ალექს ფერგიუსონს მისი მაინც სწამს. მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ მან მიაღწია ფიზმომზადების იმ დონეს, რომელიც მომდევნო ორ წელიწადს კვლავ მოედანზე გაატარებინებს.

შეგახსენებთ, რომ რაიან გიგზი „მანჩესტერ იუნაიტედში" 1991 წელს მივიდა და დღეისათვის მისი მაისურით პრემიერლიგის 537 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

**პაპუნა ქედია**

# ვინ უყვართ საკაჭკაჭეში?




**„ნიუკასლ იუნაიტედის"** დროებითმა მწვრთნელმა ჯო კინეარმა განაცხადა, რომ თანამდებობაზე, რომელიც მას გარდამავალ ეტაპზე უკავია, აუცილებლად დაბრუნდება „სენტ ჯეიმს პარკის" საყვარელი მწვრთნელი კევინ კიგანი, ოღონდ მას მერე, რაც კლუბი ახალი მეპატრონის ხელში გადავა.

კინეარი, რომელიც პრემიერლიგის გუნდს ბოლოს 1999 წელს ედგა სათავეში, „კაჭკაჭების" შეფად გასულ პარასკევს დაინიშნა, ოღონდ, როგორც თავად განაცხადა, მისი მოღვაწეობა ექვს ან შვიდ თამაშზე მეტხანს ვერ გასტანს.

შეგახსენებთ, რომ კევინ კიგანი ნიუკასლელთა თავკაცობიდან სამი კვირის წინ გადადგა. ამის მიზეზი კლუბის მეპატრონესთან, მაიკ ეშლისთან „სარბიელის" მკითხველისთვის კარგად ცნობილი დაპირისპირება გახლდათ.

„ეშლიმ მითხრა, რომ „ნიუკასლს" ახალი პატრონი ეყოლება, ასე რომ, კიგანს შეუძლია, თავი დაბრუნებისთვის განაწყოს — თქვა „უიმბლდონის" ყოფილმა 61 წლის თავკაცმა თავის პირველ პრესკონფერენციაზე „კაჭკაჭთა" თავკაცის რანგში — რასაკვირველია, ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ჩემი მხრივ გუნდი მაქსიმალურად კარგად ვათამაშო და საუკეთესო შედეგებს მივაღწიო, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ ჩემი, სავარაუდოდ, ექვსივე თამაში რომ მოვიგო, მაინც მომხსნიან და თანამდებობაზე კიგანს დააბრუნებენ. დღეს ნიუკასლელ ფანებს მხოლოდ კევინ კიგანი და ალან შირერი უყვართ".

**პაპუნა ქედია**

## ბენზემამ კოჭი იტკინა

**ფრანგული** „ლიონის" თავდამსხმელმა, კარიმ ბენზემამ ფეხის ტრავმა მიიღო. ეს ინციდენტი შაბათს, „ნანსისთან" შეხვედრისას მოხდა, თუმცა კლუბის პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა იმედოვნებს, რომ საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნის" წინააღმდეგ თამაშს შეძლებს.

## ათლეტები აგეროს ვერ ელევიან

**მადრიდის** „ატლეტიკოს" პრეზიდენტის ენრიკე სერესოს განცხადებით, კლუბი არგენტინელი თავდამსხმელის სერხიო აგეროს გაყიდვას არ აპირებს. ბოლო ხანებში 20 წლის ფეხბურთელით ევროპული ფეხბურთის ისეთი გრანდები არიან დაინტერესებულნი, როგორებიცაა „რეალი", „ინტერი", „ჩელსი" თუ „მანჩესტერი სიტი".

„არ ვიცი, „ხეტაფესთან" თამაშზე „სიტის" და „ჩელსის" სკაუტები როგორ აღმოჩნდნენ, მაგრამ მინდა, ერთი ვთქვა, რომ აგეროს მადრიდში ცხოვრება და „ატლეტიკოში" გამოსვლა სურს" — ბრძანა მადრიდული კლუბის ბოსმა.

## ჯერმეინ პენანტი და პომპეი

**„ლივერპულის"** ნახევარმცველი ჯერმეინ პენანტი, შესაძლოა, „პორტსმუთში" გადავიდეს. „პომპეები" „წითლებს" ინგლისელი ფეხბურთელის სანაცვლოდ 3,5 მილიონ გირვანქას სთავაზობენ, მაგრამ პენანტის „ფრეტონ პარკზე" გადაბარგება მხოლოდ იანვარში, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში იქნება შესაძლებელი.

## იონუც მაზილუ სამშობლოში დაბრუნდება

**ზამთარში** რუმინეთის ნაკრების თავდამსხმელი იონუც მაზილუ დნეპროპეტროვსკის „დნიპროდან" ბუქარესტის „რაპიდში" დაბრუნდება. რუმინელი ფორვარდი უკრაინაში ამ სეზონის დასაწყისში რუმინული ფეხბურთისთვის სარეკორდო თანხად — 4 მილიონ გირვანქად — გადავიდა, მაგრამ დნეპრისპირელთა რიგებში ადაპტაცია გაუჭირდა და ჩემპიონატის ცხრა მატჩში მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო.

## ნაირონ ნოსუორთმა მყესი დაიზიანა

**ინგლისური** „სანდერლენდის" ცენტრალური მცველი ნაირონ ნოსუორთი მინიმუმ სამი კვირით გამოვიდა მწყობრიდან. 27 წლის ფეხბურთელმა „ნორთჰემპტონთან" ლიგის თასის შეხვედრაში მუხლქვეშა მყესი დაიზიანა.

## ფიგუ ტრავმირებული და საოპერაციოა

**მილანის** „ინტერის" პორტუგალიელ ვარსკვლავ ლუიშ ფიგუს მარჯვენა ფეხის მოტეხილობა აქვს და „ნერაძურის" უახლოესი მატჩების გაცდენა მოუწევს. პორტუგალიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველის ტრავმა სახიფათო არ არის, მაგრამ ფიგუს ოპერაციის გაკეთება მაინც მოუხდება.

## მაიკლ დოუსონი გამოჯანმრთელდა

**„ტოტენჰემ ჰოთსპურის"** ცენტრალური მცველი მაიკლ დოუსონი, მუხლქვეშა მყესის ტრავმის მოშუშების შემდეგ მწყობრში ჩადგა. ფეხბურთელმა ამ დაზიანების გამო „დეზების" ორი მატჩი გამოტოვა — პრემიერლიგაში „უიგანთან" და ლიგის თასზე „ნიუკასლთან". ახლა დოუსონი გუნდთან ერთად ვარჯიშობს და მოედანზე გამოსვლისთვის მზადაა.

## მონრეალი დაშავდა

**„ოსასუნას"** მარცხენა მცველი ინიასიო მონრეალი ოთხშაბათს „დეპორტივოსთან" შეხვედრაში დაშავდა. 22 წლის ფეხბურთელს წვივის ტრავმა აწუხებს და ორი თვით დასვენება მოუწევს.

## მარტინსის მუხლის ტრავმა

**ოთხშაბათს** „ნიუკასლ იუნაიტედის" ფორვარდმა ობაფემი მარტინსმა „ტოტენჰემთან" ლიგის თასის შეხვედრაში მუხლის ტრავმა მიიღო და სამედიცინო შემოწმების შემდეგ ექიმებმა ექვსკვირიანი დასვენება გამოუწერეს. შეგახსენებთ, რომ 23 წლის ფორვარდმა საზარდულის ტრავმა სულ ახლახან მოირჩინა.

**არჩილ ძოგახიძე**

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### VI ტური

**სტოკი 0:2 ჩელსი**

0:1 ბოსინგვა (36), 0:2 ანელკა (76)
სტოკი: სორენსენი, გრიფინი, კორტი, აბდულაიე ფაიე, ჰიგინბოთემი, ლოურენსი (ტონგი 65), დიაო, ოლოფინიანა, კრესუელი, კიტსონი (ფულერი 52), სიდიბე (ამდი ფაიე 81)
მწვრთნელი: ტონი პულისი
ჩელსი: ჩეხი, ბოსინგვა, ალექსი, ტერი, ეშლი კოული, მიკელი, კალუ (ანელკა 46), ბალაკი (ფერეირა 89), ლამპარდი, მალუდა, დროგბა (ბელეტი 73)
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი
გაფრთხილება: გრიფინი, კრესუელი, მალუდა
მსაჯი: ატკინსონი
27 500 მაყურებელი

**ევერტონი 0:2 ლივერპული**

0:1, 0:2 ტორესი (59, 62)
ევერტონი: ჰოვარდი, ჰილბერტი (საა 63), იობო, იაგიელკა, ლესკოტი, არტეტა, ნევილი, ფლაინი, ოსმანი, კეჰილი, იაკუბუ
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი, დოსენა, კუიტი, ალონსო (ლეივა 86), ჯერარდი, რიერა (აურელიო 67), ტორესი, რობი კინი (ბენაიუნი 86)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ფლაინი, იაკუბუ, ნევილი, ალონსო, ტორესი, არბელოა
გაძევება: კეჰილი (80)
მსაჯი: რაილი
39 574 მაყურებელი

**მანჩესტერი 2:0 ბოლტონი**

1:0 რონალდუ (60პ), 2:0 რუნი (77)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ (ნანი 80), ფლეტჩერი, ანდერსონი (სქოულზი 71), პარკი, ტევესი (რუნი 71), ბერბატოვი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ბოლტონი: იასკალაინენი, სტეინსონი, კეჰილი, ობრაიენი, ზემუელი, დევისი, ნოლანი, მაკკანი, მუამბა, გარდნერი (სმოლიარეკი 73), ელმანდერი (ვაზ ტე 66)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: ელმანდერი, მაკკანი, დეივისი
მსაჯი: სტაილზი
75 484 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:1 სანდერლენდი**

0:1 სისე (10), 1:1 ეშლი იანგი (18), 2:1 კარეუ (33)
ასტონ ვილა: ფრიდელი, ლუკ იანგი, დეივისი, ლაურსენი, შორი (მილნერი 70), რეო-კოკერი, პეტროვი, ბარი, ეშლი იანგი, აგბონლაჰორი, კარეუ (კუელარი 90)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
სანდერლენდი: გორდონი, შიმბონდა, ფერინანდი, კოლინზი, მაკკარტნი, მალბრანკი, ვაითჰედი, რიჩარდსონი (სტოუკსი 79), მილერი (რიდი 59), სისე, დიუფი (მერფი 59)
მწვრთნელი: როი კინი
გაფრთხილება: პეტროვი, მაკარტნი
მსაჯი: უოლტონი
38 706 მაყურებელი

**ნიუკასლი 1:2 ბლექბერნი**

0:1 სამბა (31), 0:2 სანტა კრუსი (41), 1:2 ოუენი (51პ)
ნიუკასლი: გივენი, ბასონგი, ტეილორი, კოლოჩინი, კასაპა, ჯერემი (ამეობი 71), ბატი, დაფი, ნზოგბია (ედგარი 82), ხისკო, ოუენი
მწვრთნელი: ჯო კინეარი
ბლექბერნი: ბრაუნი, სიმპსონი, ნილსენი, სამბა, უორნოკი, ემერტონი, ოლსონი, თუგაი, დერბიშირი (ოიერი 84), სანტა კრუსი (რობერტსი 84), ვილანუევა (ფაულერი 62)
მწვრთნელი: პოლ ინსი
გაფრთხილება: ემერტონი, უორნოკი, ნილსენი, რობერტსი
მსაჯი: ტანერი
44 935 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:1 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 ოლსონი (53)
მიდლსბრო: ტერნბული, ჰოიტი, ჰუტი, ვიტერი, ტეილორი, ალიადიერი (ადამ ჯონსონი 60), ონილი, შავკი (დიგარდი 60), დაუნინგი, ალვეში, მიდო
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
ვესტ ბრომვიჩი: კარსონი, ზუივერლოონი, დონკი, ოლსონი, რობინსონი, ვალერო, მორისონი (ჩეხი 76), კორენი, გრინინგი, კიმი (მაკდონალდი 4; მილერი 46), ბედნარი
მწვრთნელი: ტონი მოუბრეი
გაფრთხილება: ტეილორი, მიდო, გრინინგი, მაკდონალდი, ოლსონი, ბედნარი
მსაჯი: ფოი
26 248 მაყურებელი

**ფულემი 1:2 ვესტ ჰემი**

0:1 კოული (43), 0:2 ეზერინგტონი (45), 1:2 მერფი (59პ)
ფულემი: შვარცერი, პანტსილი, ჰიუზი, ჰანგელანდი, კონჩესკი, გერა, მერფი, ბულარდი, დეივისი, ჯონსონი, ზამორა
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
ვესტ ჰემი: გრინი, ფობერი, ნილი, აპსონი, იუნგა, ბეჰრამი, პარკერი (ბოა მორტე 90), ნობლი, ეზერინგტონი (მულინზი 80), კოული, დი მიკელე (ბელამი 74)
მწვრთნელი: ჯანფრანკო ძოლა
გაფრთხილება: ჯონსონი, კონჩესკი, მერფი, ჰანგელანდი, პარკერი
გაძევება: ჯონსონი (45)
მსაჯი: მარინერი
23 946 მაყურებელი

**არსენალი 1:2 ჰალი**

1:0 მაკშეინი (51ს.კ.), 1:1 ჯოვანი (62), 1:2 კუზენი (66)
არსენალი: ალმუნია, სანია, ტურე, გალასი, კლიში, ებუე (ბენდტნერი 69), ფაბრეგასი, დენილსონი, უოლკოტი (ველა 77), ადებაიორი, ვან პერსი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ჰალი: მაიჰილი, მაკშეინი, საიატე, ტერნერი, დოუსონი, მარნი, ბოატენგი (გარსია 76), ჯოვანი (ჰიუზი 72), ეშბი, კუზენი (მენდი 80), კინგი
მწვრთნელი: ფილ ბრაუნი
გაფრთხილება: სანია, გალასი, ეშბი
მსაჯი: ვაილი
60 037 მაყურებელი

**უიგანი 2:1 სიტი**

1:0 ვალენსია (16), 1:1 კომპანი (22), 2:1 ზაკი (34პ)
უიგანი: კირკლანდი, მელხიოტი, ბრამბლი, ბოისი, ფიგეროა, ვალენსია, პალასიოსი, კატერმოლი (ბრაუნი 53), კაპო, ჰესკი, ზაკი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
სიტი: ჰარტი, საბალეტა, რიჩარდსი, დანი, გარიდო, კომპანი (ფერნანდესი 90), ელანო (სტარიჯი 84), რაიტ-ფილიპსი, აირლენდი, რობინიო, ჟო (ევანსი 74)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ვალენსია, ბრაუნი, მელხიოტი, კომპანი, რობინიო, რიჩარდსი
მსაჯი: სტივ ბენეტი
18 214 მაყურებელი

**პორტსმუთი 2:0 ტოტენჰემი**

1:0 დეფო (34პ), 2:0 კრაუჩი (6.)
პორტსმუთი: ჯეიმსი, ჯონსონი, ტემპელი, დისტინი, ბელჰაჯი, ლითლი (უტაკა 61), დიარა, ჰიუზი, ტრაორე, კრაუჩი, დეფო (კაბული 89)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ტოტენჰემი: გომესი, ჩორლუკა, დოუსონი, ვუდგეიტი, ასუ-ეკოტო, ბენთლი, ჯენასი, ზოკორა (ჯოვანი 58), ოჰარა, ჟილბერტო (ლენონი 46), პავლიუჩენკო (ბენტი 73)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: დიარა, ბელჰაჯი, კრაუჩი, ჰიუზი, ვუდგეიტი, ოჰარა, ლენონი
გაძევება: დიარა (88)
მსაჯი: მაიკ დინი
20 352 მაყურებელი

# არსენალს ტყვია დააჰალეს
## ვეფხვი, რომელმაც თოფი დალეჭა



მანუელ ალმუნიამ შაბათს ამაოდ იფრინა

**სასწაული** — „ჰალმა“ „არსენალს“ სტუმრად მოუგო. პრემიერლიგის დებიუტანტმა — მეტსახელად „ვეფხვები“ — „მეთოფეებს“ „ემირეითს სტედიუმზე“ მეორე მარცხი აგემა. არსენ ვენგერის გუნდს წელიწადზე მეტია, შინ თამაში არ წაეგო და აგერ, ესეც მოხდა. „ჰალის“ მწვრთნელმა ფილ ბრაუნმა თქვა: „ექვს ტურში იმდენივე ქულა (11) მოვაგროვეთ, რამდენიც „დერბიმ“ გასული სეზონის 38 მატჩში. ეს გამარჯვება ჩემს კარიერაში უდიდესია. მე მყავს გუნდი, რომელსაც ასეთ მეტოქეებთან ბრძოლა შეუძლია. გვჯეროდა, რომ ლონდონიდან ქულის წაღებას მაინც შევძლებდით. პირველი ტაიმის შემდეგ გავბრაზდი კიდეც, რატომ არ ვიგებთ-მეთქი. იქნებ, ეს ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ სწორედ ასე იყო“.

არსენ ვენგერი: „მათ ორი დიდებული გოლი გაიტანეს და ამასთან, უფრო მოტივირებულნი იყვნენ. „ჰალს“ ტექნიკაში ვაჯობეთ, ოღონდ გამარჯვების სურვილი მეტოქეებს მეტი ჰქონდათ. ჩვენს სასარგებლოდ 1:0 რომ გახდა, მეორე უნდა გაგვეტანა. რაკი ეს ვერ მოვახერხეთ, დაგვსაჯეს. ეს კარგი გაკვეთილი იქნება“.

სესკ ფაბრეგასმა მეორე ტაიმის დასაწყისში ბურთი კარში ახლოდან შეტენა, მაგრამ ჰალელმა ჯოვანიმ ანახა, თუ როგორ შეიძლება შორიდან გატანა. საჯარიმოს გარედან დაჰკრა და ბურთი ცხრიანში ჩაახვია. მალევე, კუთხურის შემდეგ დანიელ კუზენმა თავით შორ კუთხეში შეაგდო და ისტორიული მოგება შედგა.

„არსენალი“ მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა, „ჩელსიმ“ კი „სტოკს“ სტუმრად მოუგო და ცხრილის თავში გადავიდა. „ლივერპული“ და „ჩელსი“ ჯერჯერობით წაუგებელნი არიან. „სტოკმა“ წინა ტურში ლივერპულიდან ქულა წაიღო, მაგრამ ზედიზედ ორ დიდ გუნდთან საჭიდაოდ ძალა არ ეყო. ამჯერად „ჩელსის“ შეებრძოლა, მაგრამ კლასთან მაინც წააგო. ჟოზე ბოსინგვამ ახლოდან შეაგდო და პრემიერლიგაში პირველი გოლი მიითვალა, ხოლო ნიკოლა ანელკამ მცველის მოგერიებულს დაამატა და — 0:2. „სტოკელები დაცვაში კარგად თამაშობდნენ და ჩვენს შეტევებს დარაჯობდნენ, მაგრამ ბოსინგვას არა — თქვა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ — მან საუცხოო გოლი გაიტანა. შეტევაშიც კარგია და დაცვაშიც ასწრებს.“

„მანჩესტერმა“ სეზონში პირველი საშინაო მატჩი დავიდარაბით მოიგო. „კრიშტიანუ რონალდუ სამუელს არ წაუქცევია — განაცხადა „ბოლტონის“ თავკაცმა გარი მეგსონმა — მან აშკარად ბურთზე ითამაშა. როცა რობ სტაილსმა დაუსტვინა, ვიფიქრე, რომ რონალდუს თაღლითობისთვის გააფრთხილებდა, მაგრამ ჩვენს საწინააღმდეგოდ პენალტი დანიშნა“.

საეჭვო პენალტი კრიშტიანუ რონალდუმ შეაგდო, მერე კი შეცვლაზე შესულმა უეინ რუნიმ შორ კუთხეში ჩაახვია და 2:0 გახადა, რითაც ალექს ფერგიუსონის ქება დაიმსახურა: „როგორც კი შევიდა, ჩვენს თამაშს უკეთესობა დაეტყო. ასეთი შეცვლების გაკეთება ყოველთვის რომ შემეძლოს, გადასარევი იქნება“.

2005 წლის შემდეგ „ევერტონს“ ზედიზედ სამი საშინაო მატჩი არ წაეგო და ახლა მოახერხა. მერსისაიდულ დერბიში ფერნანდო ტორესმა თანაქალაქელებს დუბლი შეუსრულა. ჯერ რობი კინის პასი შეირგო და ახლოდან შეაგდო კარში, მერე კი ბურთი მცველისგან მიუვიდა და ხარიხის ქვეშ შეტენა. „ევერტონის“ ლიდერი ტიმ კეჰილი უხეშობისთვის მე-80 წუთზე გააძევეს და კაცნაკლულ მასპინძლებს გათანაბრების შანსი არ ჰქონიათ.

„გულიანად ვმუშაობდი და ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან გავიტანდი — თქვა ტორესმა — ამის მერე ასე უნდა გავაგრძელო“.

ლონდონურ დერბიში „ვესტ ჰემმა“ „ფულემს“ ტაიმის ბოლოს წყვილი გოლი გაუტანა. კარლტონ კოულმა ახლოდან დაჰკრა და ანგარიში გახსნა, ეთერინგტონმა კი წინ გამოსული მეკარის შეცდომით ისარგებლა და სხვაობა ორამდე გაზარდა. ხელით თამაშისთვის დანიშნული პენალტით ფულემელმა მერფიმ ერთი გაქვითა, მაგრამ მასპინძლები პირველ საშინაო მარცხს ვერ ასცდნენ.

„ასტონ ვილა“ ჯიბრილ სისეს გოლით „სანდერლენდთან“ შინ აგებდა, თუმც ეშლი იანგმა საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა, იონ კარეუმ კი ქუსლით მეორე შეაგდო.

„ვესტ ბრომვიჩმა“ სტუმრად 56 წლის შემდეგ პირველი მატჩი მოიგო. „მიდლსბროსთან“ ოლსონმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაიტანა, ხოლო „ნიუკასლმა“ ზედიზედ მეოთხე მარცხი იწვნია. გუნდის დროებით მწვრთნელად ჯო კინეარი დანიშნეს, მაგრამ გამოცდა ვერ ჩააბარა. სამბასა და სანტა კრუსის თავურებს, მასპინძლებმა ოუენის პენალტით უპასუხეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:3 | 14 |
| ლივერპული | 6 | 4 | 2 | 0 | 7:2 | 14 |
| ასტონ ვილა | 6 | 4 | 1 | 1 | 12:8 | 13 |
| არსენალი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:4 | 12 |
| ვესტ ჰემი | 6 | 4 | 0 | 2 | 13:10 | 12 |
| ჰალი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:11 | 11 |
| ბლექბერნი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:12 | 10 |
| სიტი | 6 | 3 | 0 | 3 | 16:9 | 9 |
| პორტსმუთი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:12 | 9 |
| უიგანი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:5 | 8 |
| მანჩესტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| ვესტ ბრომვიჩი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| სანდერლენდი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 7 |
| ევერტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:13 | 7 |
| ფულემი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | 6 |
| მიდლსბრო | 6 | 2 | 0 | 4 | 6:9 | 6 |
| ბოლტონი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:9 | 4 |
| სტოკი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:12 | 4 |
| ნიუკასლი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11 | 4 |
| ტოტენჰემი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:9 | 2 |

**VII ტური**
**4 ოქტომბერი**

ბლექბერნი — მანჩესტერი
ჩელსი — ასტონ ვილა
ევერტონი — ნიუკასლი
სიტი — ლივერპული
პორტსმუთი — სტოკი
სანდერლენდი — არსენალი
ტოტენჰემი — ჰალი
ვესტ ბრომვიჩი — ფულემი
ვესტ ჰემი — ბოლტონი
უიგანი — მიდლსბრო

### ჩემპიონლიგა
#### VIII ტური

ვულვზი — ბრისტოლი 2:0; ბარნსლი — ნორვიჩი 0:0; ბლექპული — ქოვენთრი 1:1; ბარნლი — პრესტონი 3:1; კარდიფი — ბირმინგემი 1:2; ჩარლტონი — უოტფორდი 1:2; დონკასტერი — საუთჰემპტონი 0:2; პლიმუთი — ნოტინგემი 1:0; ქუინზ პარკი — დერბი 0:2; რედინგი — სუონსი 4:0; შეფილდი — უოტფორდი 2:1; იფსვიჩი — კრ. პალასი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 8 | 7 | 1 | 0 | 23:7 | 22 |
| ბირმინგემი | 8 | 6 | 1 | 1 | 11:5 | 19 |
| რედინგი | 8 | 4 | 2 | 2 | 20:10 | 14 |
| პრესტონი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:10 | 14 |
| ქუინზ პარკი | 8 | 4 | 1 | 3 | 10:9 | 13 |
| ბრისტოლი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:7 | 12 |
| ქოვენთრი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:7 | 12 |
| ბარნლი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:10 | 12 |
| უენსდი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:14 | 12 |
| შეფილდი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:7 | 11 |
| კარდიფი | 8 | 2 | 5 | 1 | 8:7 | 11 |
| პლიმუთი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:9 | 11 |
| ბლექპული | 8 | 3 | 2 | 3 | 6:8 | 11 |
| ჩარლტონი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:10 | 10 |
| ნორვიჩი | 8 | 2 | 4 | 2 | 7:8 | 10 |
| იფსვიჩი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:9 | 9 |
| დერბი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:8 | 9 |
| სუონსი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:12 | 9 |
| უოტფორდი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:12 | 8 |
| საუთჰემპტონი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:11 | 8 |
| დონკასტერი | 8 | 2 | 1 | 5 | 4:11 | 7 |
| კრ. პალასი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:11 | 6 |
| ბარნსლი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:8 | 5 |
| ნოტინგემი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:15 | 5 |

### I ლიგა
#### VIII ტური

საუთენდი — ლეიტონი 3:0; ტრანმერი — კოლჩესტერი 3:4; როვერსი — ქრიუ 0:0; ჩელტენემი — სტოკი 2:2; ლიდსი — ჰერეფორდი 1:0; ლესტერი — ჰარტლპული 1:0; მილტონი — პიტერბრო 1:2; ნორთჰემპტონი — ბრაიტონი 2:2; ოლდემი — ჰადერსფილდი 1:1; სკანთორპი — იოვილი 2:0; უოლსოლი — კარლაილი 2:1; სუინდონი — მილუოლი 1:2

### II ლიგა
#### VIII ტური

ბორნმუთი — დარლინგტონი 3:1; ბერი — უიკომბი 0:0; ჩესტერფილდი — ბრენტფორდი 0:1; დაგენემი — როტერემი 1:1; ჯილინგემი — პორტ ვეილი 1:0; გრიმსბი — ბარნეტი 0:1; ლინკოლნი — მორიკომბი 1:1; ლუტონი — ჩესტერი 1:1; მაკლსფილდი — ექსეტერი 1:4; ნოტსი — ალდერშოტი 2:1; შრიუსბერი — ბრედფორდი 2:0; აკრინგტონი — როჩდეილი 1:3

### კონფერენსლიგა
#### XII ტური

ბეროუ — ებსფლიტი 0:3; ბარტონი — ფორესტ გრინი 4:2; ქროული — კეტერინგი 1:0; ისტბორნი — კიდერმინსტერი 2:3; ლიუისი — ოქსფორდი 2:1; ნორსვიჩი — ვეიმუთი 2:3; სალისბერი — მენსფილდი 2:3; უოკინგი — ჰისტონი 1:0; რექსემი — ტორკი 1:1; კემბრიჯი — გრეისი 1:0; სტივენეიჯი — იორკი 3:3. რაშდენი — ალტრინჩემი დღეს გაიმართება

# იოზილმა ჰოფენჰაიმი დაზილა

## გერმანია
### ბუნდესლიგა
### VI ტური

**კიოლნი 1:0 შალკე**

1:0 მოჰამადი (43)
კიოლნი: მონდრაგონი, ბრეკო, ჭეროშ-ლი, მოჰამადი, ვომე, პეტიტი, პეცონი, ვუკიჩევიჩი (რადუ 82), ანტარი, ეპრეტი (ჩიჰი 78), ნოვაკოვიჩი (მაკენა 90)
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
შალკე: ფეჰრმანი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ვესტერმანი, ჯონსი, ენგელაარი (ასამოა 87), ფარფანი, კურანი (ჰალილ ალთინთოფი 69), რაკიტიჩი (სანჩესი 46)
მწვრთნელი: ფრედ რუტენი
გაფრთხილება: ჭერომელი, რაფინია, სანჩესი, ფარფანი
მსაჯი: მეიერი
50 000 მაყურებელი

**ვერდერი 5:4 ჰოფენჰაიმი**

1:0 იოზილი (8), 1:1 ბა (15), 2:1 პისარო (16), 3:1 დიეგო (21), 4:1 ჰუნტი (30), 4:2 სალიჰოვიჩი (36), 4:3 იბიშევიჩი (62პ), 4:4 კომპერი (71), 5:4 იოზილი (81)
ვერდერი: ვიზე, კ. ფრიცი, მერტეზაკერი, ნალდო, ბოინიში (პასანენი 59). ფრინგსი, ჰუნტი (პრიოდლი 65), იოზილი, დიეგო, პისარო, როზენბერგი (ვრანიეში 65)
მწვრთნელი: თომას შაფი
ჰოფენჰაიმი: იოზჯანი, ბეკი, პ. ნილსონი, კომპერი, იბერსტბერგერი, გუსტავო, ტებერი (ვაისი 46), სალიჰოვიჩი, ობასი, ბა, იბიშევიჩი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: სალიჰოვიჩი
გაძევება: მერტეზაკერი (62)
მსაჯი: პერილი
42 100 მაყურებელი

**ბოხუმი 2:3 ლევერკუზენი**

0:1 ვიდალი (6), 0:2 რენატო (21), 0:3 ჰელმესი (61), 1:3 შესტაკი (79), 2:3 სინანი (81)
ბოხუმი: ფერნანდესი, პფერცელი (აზაუადი 65), მალტრიცი, იაჰია, კ ფუქსი, ცედებეი (ო. შრიოდერი 54), ფრაიერი, დაბროვსკი, ონო მავრაი 79), სესტაკი, სინანი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
